# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 202 (5803)


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## რას ერჩით კოკოითს, „ფანდარასტით“ არსადაც არ წავა!..



3

## პატარკაციშვილს პრორუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებენ



9

## ისევ ძველს ვუბრუნდებით?

ევროპის ლიბერალ-დემოკრატებს ასეთი საქართველო არ უნდათ

2

## უფლის და კაცის ბალადა — სოფელი ერთი კალათა



11

## გისოსებს მიღმა მოქცეული ლამაზი სული



13

## მე ქართველად მოვკვდე მინდა



12

## ჯორჯ ბუში: პუტინი მთლად გულწრფელი არ ყოფილა, როცა თავის მემკვიდრეობაზე ლაპარაკობდა

10

## საინგილოში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დახურეს, ქვემო ქართლში კი ახალი მეჩეთი აიგო...

2



● „საქართველო, ქართველი ხალხი გაცილებით უკეთესია და უკეთ არის მზად ევროპული ინტეგრაციისთვის, მათ შორის ნატოში გაწევრიანებისთვის, ვიდრე ამას სააკაშვილი და მისი გუნდი წარმოაჩენს. მათ საქართველო სააკაშვილისა და მისი გუნდის გამო არ უნდა დასაჯონ“




◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# ისევ ძველს ვუბრუნდებით?

## ევროპის ლიბერალ-დემოკრატებს ასეთი საქართველო არ უნდათ

**2 ნოემბრამდე 12 დღე რჩება. ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია საქართველოს პრეზიდენტსა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის ბედი.** მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციას დიალოგი შესთავაზა, მაგრამ თავად პორტუგალიაში გაემგზავრა და შეხვედრა თუ არა ოპოზიციას, უცნობია. თავის მხრივ, ოპოზიციამ პრეზიდენტთან შეხვედრის რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, ისევ რეგიონებს მიაშურა მოსახლეობასთან შესახვედრად.

დროს უქმად არ კარგავს რესპუბლიკური პარტია, მისი ლიდერი დავით უსუფაშვილი ბერლინში პოლიტიკური პარტიების საერთაშორისო კონგრესზე იმყოფება, სადაც რესპუბლიკური პარტია, პირველად საქართველოს ისტორიაში, ევროპის ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ სრულუფლებიან წევრად მიიღო.

დავით უსუფაშვილი ამ ფაქტს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენად აფასებს, რადგან ამიერიდან საქართველო ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩაებმება.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ ამ გაწევრიანებით მათ მოიპოვეს პირდაპირ გასასვლელი ყველა ევროპული სახელმწიფოს პარლამენტში, მთავრობებსა და თავად ევროკავშირის პარლამენტში. თუ რას იტყვის დავით უსუფაშვილი კონგრესზე გამოსვლისას, მან „ღია ეთერით“ ჩამოაყალიბა: „აი,



რა არის ჩვენი მთავარი სათქმელი – „საქართველო, ქართველი ხალხი გაცილებით უკეთესია და უკეთ არის მზად ევროპული ინტეგრაციისთვის, მათ შორის ნატოში გაწევრიანებისთვის, ვიდრე ამას სააკაშვილი და მისი გუნდი წარმოაჩენს. მათ საქართველო სააკაშვილისა და მისი გუნდის გამო არ უნდა დასაჯონ“.

უსუფაშვილის თქმით, ჩვენს ევროპელ კოლეგებს არ სურთ საქართველო ისეთივე იხილონ, როგორიც იყო 90-იანი წლების ბოლოს, როცა შევარდნაძის გამო საქართველოს მიმართ ენთუზიაზმი დაიკარგა. „ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ საქართველო შემდგარი სახელმწიფოა. საზოგადოება პასუხისმგებელია ქვეყანაზე, და მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით მივაღწევთ, რომ საქართველო სწორ გზას იდგეს“.

დავით უსუფაშვილი ფიქრობს, რომ ევროპის ყველა ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა პოლიტიკური ცხოვრებისთვის.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ქვეყნისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონსტიტუციურ ვადებში დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რაც შიდა პრობლემებს განმუხტავს. „უამისოდ ქვეყანაში ვითარება გართულდება, შესაბამისად, გართულდება ნატოში გაწევრება, კონფლიქტების მოგვარება, საქართველოს, როგორც იმ ქვეყნის იმიჯის შენარჩუნება, რომელთანაც შეიძლება პარტნიორობა“, – დაასკვნა მან.

**ნატა ნიბლაძე**

◎ მრუდე სამართალი

# საინგილოში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დახურეს, ქვემო ქართლში კი ახალი მეჩეთი აიგო...

**საინგილოში, აზერბაიჯანის კახის რაიონში, ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დახურეს. აზერბაიჯანელები დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდნენ, – ეს ეკლესია ალბანური წარმოშობისააო. იქაურების თქმით, კახში ერთადერთი მოქმედი ტაძარია, სადაც წირვა-ლოცვა ტარდება. ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მრევლი კვირაობით ადიოდა და მოძღვარი პარაკლისებს იხდიდა. საგანგებოდ აღნიშნავდნენ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს მკვიდრის აიდა პაპიაშვილის თქმით, აზერბაიჯანელები ტაძრის წართმევას დიდი ხნის წინათ შეეცადნენ, ახლა კი დაიბარეს წინამძღვარი, გასაღები ჩამოართვეს და განაცხადეს, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია ქართველებს აღარ ეკუთვნითო!**

ამ ფაქტის გამო იმ დღეს პროტესტი გამოხატეს პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლალიძემ და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. მათ საგანგებო აქცია გამართეს აზერბაიჯანის საელჩოს წინ და ოფიციალური წერილით მიმართეს აზერბაიჯანის ელჩს საქართველოში მამედ ალიევს: „ბატონო ელჩო, ჩვენ დიდად აღგვაშფოთა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში მართლმადიდებლური ეკლესიის დაკეტვამ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, აზერბაიჯანის კონსტიტუციით რწმენის თავისუფლება დაცულია. მართლმადიდებლური ტაძრის დახურვა კი უხეშად ლახავს ამ აღმსარებლობის მქონე ადამიანთა უფლებებს და ეწინააღმდეგება როგორც აზერბაიჯანის კონსტიტუციას, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციებსაც. მოგიწოდებთ, სასწრაფოდ გახსნათ ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია და მართლმადიდებელ მრევლს მისცეთ ტაძარში ლოცვის საშუალება. იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებთ!“ – ჩაწერილია მიმართვაში.

გიორგი ლალიძე და აქციის მონაწილენი ამტკიცებდნენ, რომ ეს არის მართლმადიდებლური რწმენის დისკრიმინაცია. ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები ერთიმეორის მიყოლებით აგებენ მეჩეთებს. არც ერთ ქართველს არ მოუთხოვია ამ მეჩეთების გაუქმება. ეს მაშინ, როდესაც საინგილოში ხურავენ თითზე ჩამოსათვლელ ქართულ ეკლესიებს, – ამბობდნენ აღშფოთებული აქციის მონაწილეები.

„ჩვენს ხელისუფლებას ეს საკითხი დროულად უნდა მოეგვარებინა. ვფიქრობთ, სამარცხვინოა ის, რაც კახის რაიონში მოხდა. თუ ხუთი დღის ვადაში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კანონიერ მფლობელს არ დაუბრუნდება, ფართომასშტაბიანი აქციები გაიმართება თბილისშიც, ბაქოშიც, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე!“ – განაცხადა გიორგი ლალიძემ.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ პოლიტიკური კრიზისი

# გია მაისაშვილი: არც ოპოზიციის გზაა მოსაწონი და არც ხელისუფლებისა

**19 ოქტომბერს, „ლიდერთა სკოლაში“, გია მაისაშვილმა კიდევ ერთი ახალი პარტია წარუდგინა საზოგადოებას. „მომავლის პარტია“ – ასე უწოდა პრეზიდენტის ყოფილმა იმიჯმეიკერმა მისი თაოსნობით შექმნილ პოლიტიკურ ძალას.**

პრესკონფერენცია საკმაოდ მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა.

ბატონ გიას უამრავი კითხვა დაუსვეს.

„დღეს საქართველოში სერიოზული პოლიტიკური კრიზისია. მმართველ პარტიას არა აქვს ამ კრიზისიდან გამოსვლის არანაირი გეგმა. ოპოზიცია კი მხოლოდ კრიტიკითაა დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ოპოზიციას, ვერავის გავეჯიბრებით სიძულვილში, ბოღმაში, ჭორაობაში... მიხეილ სააკაშვილის სიძულვილს ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ. არ იფიქროთ, რომ პრეზიდენტს ვიცავ – მე ვიცავ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. არც ერთი მათგანის გზა არ არის გამართლებული – არც ოპოზიციისა და არც ჩვენი ხელისუფლებისა. 2 ნოემბრის აქციაზე მივალთ, მაგრამ დავდგებით საკუთარ ხალხთან და არა რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან“ – აცხადებს გია მაისაშვილი.

„ჩვენ პოლიტიკა იქნება პროქართული“ დასავლური ორიენტაცია ხელს არ შეგვიშლის იმაში, რომ რუსეთთან ალალი, პირდაპირი, სამართლიანი ურთიერთობა გვქონდეს. ჩვენი აზრით, ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა თავის სამეზობლოში მტრული ძალების ნეიტრალიზება, გონიერი, მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება“, – განაცხადა ბატონმა გიამ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციის შესახებ მასალას უფრო სრულად გაზეთის მომდევნო ნომერში გაგაცნობთ...

**ხათუნა იმერლიშვილი**

◎ დადანაშაულება

# მთავრობის პოლიტიკა დამოუკიდებლობას დაგვაკარგვინებს

**„საქართველოს მწვანეთა პარტია“ ხელისუფლებას პრორუსული პოლიტიკის წარმოებაში ადანაშაულებს.**

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, სწორედ საქართველოს ხელისუფლება აძლევს რუსეთს საქართველოს ეკონომიკის მართვის ბერკეტებს.

**– ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ მიუხედავად ისტერიული, ანტირუსული რიტორიკისა, ხელისუფლების საგარეო კურსი მიმართულია ჩრდილოეთისკენ,** – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადების თანახმად, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ენერგეტიკული, კავშირგაბმულობისა და საბანკო სექტორის სტრატეგიული ობიექტების რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევა.

**– ეს ქვეყანას ჯერ ეკონომიკური, ხოლო შემდეგ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსული კაპიტალის ექსპანსია სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2005 წლიდან დაიწყო და ეს პროცესი რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობის ფონზე ხდება,** – მიიჩნევენ „მწვანეები“.

განცახდებაში მოყვანლია მონაცემები საქართველოში არსებული რუსეთული კაპიტალის შესახებ.

ჩამონათვალის თანახმად, „თელასი“ ეკუთვნის რუსეთის „რაო ესს“, რომელიც საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების 20% და რეალიზაციის 35% აკონტროლებს. ასევე აწარმოებს მოლაპარაკებას „ჰუდონჰესის“ მშენებლობაზე.

„თბილგაზი“ ეკუთვნის „ყაზტრანსგაზს“, „ყაზმუნაიგაზის“ შვილეულ ორგანიზაციას, რომელიც, „გაზპრომთან“ ერთად, გაერთიანებულია ერთობლივ კომპანია „ყაზროსგაზში“ .

„ენერჯი ინვესტი“ ეკუთვნის რუსეთის „ვნეშტორგბანკს“, რომლის საკუთრებაც არის გარდაბანის გაზოტურბინული ელექტროსადგური;

„მწვანეების“ ინფორმაციით, რუსული კაპიტალი წარმოდგენილია შემდეგ ბანკებში – „ქართუ“; „სახალხო ბანკი“; „საქართველოს ბანკი“; „გაერთიანებული ქართული ბანკი“ კი „ვნეშტორგბანკი“ საკონტროლო პაკეტს ფლობს.

რაც შეეხება კავშირგაბმულობას, „მწვანეთა პარტიის“ ცნობით, „ჯეოსელის“ მფლობელია რუსული კორპორაცია „ალფა გრუპი“, რომელმაც შეისყიდა თურქული კომპანია „თურქსელი“. „ვიმპელკომი“ კი საქართველოში მოქმედებს „ბილაინის“ სახელით.

განცხადებაში წარმოდგენილია წარმოების სფეროში არსებული ინვესტიციების ჩამონათვალიც.

როგორც „მწვანეები“ აცხადებენ, ექსპერტების დიდი ნაწილის აზრით, ყაზახური და ჩეხური ინვესტიციების უკანაც რუსები დგანან.

**ინტერპრესნიუსი**

№ 202. შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

● ყველა ყველა და, კალანდაძესა და კირკიტაძეს მაინც რა უნდათ ლისაბონში, რა ფუნქციები დაეკისრათ — დეკორაციული? თუ სამორიგეო-სამივლინებო სიაა სადღაც შედგენილი და იმის მიხედვით გრიალებენ?



◎ თურმე ტყუილად გვიყვირია...

# რას ერჩით კოკოითს, „ფანდარასტით“ არსადაც არ წავა!..

რაც ვლადიმერ სანაკოევმა მოძრაობა „კოკოითი ფანდარასტ!“ წამოიწყო, სულ მიკვირდა და მიკვირს, ეს გაქირი პრეზიდენტი კოკოითი არ მიდის და არ მიდის, მაგრამ ყურს მაინც რატომ არ იბერტყავს-მეთქი. არადა ვიცი, რომ რუსულზე უკეთესად ქართული იცის, ოღონდ განგებ იყრუებს ყურს, თავის მშობლიურ ენაზე კი თურმე კოსტა ხეთაგუროვის გავლენით ლექსებსაც წერს... ასე რომ ოსური „ფანდარასტი“ გაქირ პრეზიდენტზე რატომ არა და არ მოქმედებდა, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან მიკვირდა...

ამ გაკვირვებაში ვიყავი რომ ჩემი ოსი მოკეთე დიანოზ ქოქოევი მეწვია (ქოქოევი თურმე იგივე ქოქოითია, კოკოითი რუსული ტრანსკრიპციით ყოფილაძ. ჩემი გაკვირვება რომ ვუთხარი, ამდენს უყვირიან, „ფანდარასტ! ფანდარასტ!“ და ეგ მაინც არ მიდის-მეთქი, დიანოზმაც გაკვირვებულმა მითხრა, რატომ უნდა წავიდეს, ჩემო ბატონო, როცა ოსურად სულაც „წადის“ არ ეუბნებიანო.

დიანოზს ოდნავ ქართული ეშლება, თორემ ოსური ბრწყინვალედ იცის, და ვკითხე:

— აბა, წადი, გზა მშვიდობისა! ოსურად როგორ უნდა ითქვას, ჩემო დიანოზ?

— როგორ და — „და ფანდაგ რასტ!“

— აბა, „ფანდარასტ“ არ წახვიდე ხომ არ არის-მეთქი ოსურად?

— ეგ არც წახვიდეა და არც მოხვიდე.

— ესე იგი ადგილზე იყავიო?!

— ჰოდა ადგილზეა, ჩემო ბატონო, აკი არც მიდის...

— ეგ სულაც პაროლი ხომ არ არის, არსადაც არ წახვიდეთო!..

— ეგ უკვე ქართველებმა გაარკვიეთ, შენი ჭირიმე!

მართალი ხარ, მართალი, ჩემო დიანოზ, შენ ცოტა ქართულს იჩლექ ოსურად, თორემ რომ მიგიშვან, ოსური ენის გრამატიკასაც შეადგენდი...

მერედა, შენთვის ეკითხა ამ მამაცხონებულ ვლადიმერ სანაკოევს ან წადი როგორ უნდა ოსურად, ან მოდი და ან კიდევ ადგილზე დარჩი... აქამდე იქნებ მართლაც წასულიყო ეგ ერთი ოთხფეხივით გაჯიუტებული კოკოითი და თვითონაც დაესვენა, ჩვენც დავესვენებინეთ და, რაც მთავარია, თავად სანაკოევებიც! თორემ რა გამოდის, თურმე სულ ტყუილად გვიყვირია აქამდე, „ფანდარასტ, ფანდარასტო“, არადა თურმე „და ფანდაგ რასტ!“ უნდა გვეძახა!

**გურამ წიკლაური**

◎ მკვახე შეძახილი

# მე კი ისა მგონია – რა დროს ლისაბონია...

**დაქცეული ქვეყნიდან, სწრაფად „გაქვირებადი“ ქვეყნიდან ხელისუფლებამ მორიგი გაფრენა განახორციელა. ექვსკაციანი დელეგაცია ლისაბონში (ვისაც არ ახსოვს – პორტუგალიაძ, რაღაც სახალხო პარტიის ყრილობაზე გაემგზავრა...**

რამდენი ხანია ვიხვეწები — დამითვალეთ, საშუალოდ მაინც რა ჯდება ეს გაუთავებელი საზღვარგარეთული ვოიაჟები-მეთქი. კაცო, ამას წინათ ჩვენი უბედური ქვეყნის ერთი რაიონიდან ომისა და შრომის ვეტერანი, ყოველმხრივ დამსახურებული კაცი თბილისში ვერ ჩამოვიდა ვეტერანთა თავყრილობაზე — ადგილობრივმა გამგეობამ მგზავრობა არ დაუფინანსა, ერთი მიმართულებით 10 ლარი...



ახლა გვეკოპწიავებიან ლისაბონიდან ქართველი დელეგატები და გვარწმუნებენ, რომ შეხვედრები მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. თქვენთვის იქნებოდა, აბა არა?...

ყველა ყველა და, ამაღამ ვახშმად რა გვაქვსო, უყვარდა შეკითხვა დიდად ღიპდებულ ლუარსაბს. ყველა ყველა და, კალანდაძესა და კირკიტაძეს მაინც რა უნდათ ლისაბონში, რა ფუნქციები დაეკისრათ — დეკორაციული? თუ სამორიგეო-სამივლინებო სიაა სადღაც შედგენილი და იმის მიხედვით გრიალებენ?

ნეტავ, ვის რა ჰგონია, მე კი ისა მგონია — რა დროს სამიტია და რა დროს ლისაბონია...

**თამაზ ეზანიძე**

◎ ინფორმაცია



## საქართველოს ეროვნული ბანკი გაუქმდება?

**პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს შორის პარლამენტში ეროვნული ბანკის გაუქმების ინიციატივაც შევა.**

**ამის შესახებ დღევანდელ პრესკონფერენციაზე „სოლიდარობის ცენტრის“ დირექტორმა კახა კოხრეიძემ განაცხადა.**

**მისივე ინფორმაციით, ინიციატივა სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს ეკუთვნის.**

**— ეროვნული ბანკის გაუქმება სერიოზულ დარტმას მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკას, რადგან საბანკო სექტორს სტაბილური განვითარება აქვს, — აღნიშნა კოხრეიძემ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ რეპლიკა

# დიღმის მასივს მოსტაცეს, კოჯორს გაუყენეს...

***19 ოქტომბრის დილას დიღმის მასივის ერთ გაჩერებაზე №46 ავტობუსის მომლოდინე მგზავრებს ლოდინი 46 წუთი (?ძმოუწიათ... მერე მძღოლთან დალაპარაკებით გამოირკვა, ხაზზე (დიღმის მასივი—ავლაბარიძ მხოლოდ ორი (?ძ ავტომობილია გამოსული, დანარჩენთ მობილიზაცია უყვეს კოჯორში რეზერვისტთა გადასაყვანადო.***

თქვე დალოცვილებო (მერიელებს მივმართავძ, ტროლეიბუსებს რომ აახვევინეთ, „მარშრუტკები“ რომ გაყარეთ და გვარწმუნებდით, სამაგიეროდ ავტობუსებს დაგიმატებთ და კომფორტულად გამგზავრებთო — ეს არის დამატება და კომფორტულობა?

თქვე უფრო დალოცვილებო (თავდაცვის სამინისტროს მესვეურთ მივმართავძ, რომ გაიძახით, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული ძალები გვყავსო, ბიუჯეტიც რომ ასე უსაშველოდ გაიზარდეთ — ეგ არის თქვენი ტექნიკა, ავტობუსები რომ ვერ შეგიძენიათ და სამგზავრო ხაზებიდან „ამობილიზებთ“? ჩვენ რა დავაშავეთ, არა ვართ გადასაყვან-გადმოსაყვანი?...



**ამბერკი მოლოდინი**

◎ ფელეტონი

# როგორ გაგვაცნეს „სამედიცინო მდგომარეობა“

**18 ოქტომბერს კიდევ ერთხელ ვიხილეთ ტელეეკრანზე განათლების სფეროში გატარებული შესანიშნავი რეფორმების „ნაყოფი“ — თბილისის 44-ე საჯარო სკოლის დირექტორი, გვარს დავასახელებ, სახელსაც — დავით ჭიპაშვილი.**

გეფიცებით „ვარდების რევოლუციას“, თუ საბჭოთა წყეულ საბჭოურ ხანაში მსგავსი საშუალო სასწავლებლის ხელმძღვანელი შემხვედროდეს სადმე. აბა, ვინ წარმოიდგენდა სკოლის დირექტორს, რომელსაც ტ... და ყ... ასე ხშირად მოუდის ენაზე, ან ასე მოსდებია სექსუალურად ახუნტრუცება უფროსკლასელ გოგონათა მზერისას.






ჩვენს დროში წარმოვიდგინე კი არა, საკუთარი თვალით ვნახე დირექტორი, რომელიც, რეფორმირებული საჯარო სკოლის მესამე (თუ მეოთხეძ სართულის ფანჯრიდან გადმომდგარი, საჯაროდ აგინებდა ეზოში შეგროვილ პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ასე ესმოდა, ასე ამართლებდა სკოლის სახელწოდებაში საჯაროობას!...

მერეც არ იყო ნაკლები ცირკი! რეფორმების სულისჩამდგმელი სამინისტრო ხომ უნდა გამოხმაურებოდა ამ საგანგებო შემთხვევას და ეს ეკრანიდან გააკეთა პირმშვენიერმა და მარად მღიმარმა მინისტრის მოადგილე ქალბატონმა: აქაო, თქვა, პიროვნების სამედიცინო მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემა არისო.

ღმერთო დიდებულო, რთული მდგომარეობა გამიგია, გამოუვალი მდგომარეობა გამიგია, სასაცილო მდგომარეობა გამიგია, მაგრამ სამედიცინო, მომკალით და, არა.

კი მაგრამ, პირმშვენიერო და მარად მღიმარო ქალბატონო, როცა ეგ თქვენი დირექტორი თურმე ასე წარმატებით გადიოდა და აბარებდა „სადირექტორო“ გამოცდებსა და გასაუბრებებს, როცა კონკურსი ასე მარჯვედ მოისტუმრა, მაშინ ეგ „სამედიცინო მდგომარეობა“, გაფიცებთ ძირეულ რეფორმებს, არ შეგიმჩნევიათ? როცა ლოტოტრონმა მისი სახელ-გვარი ამოაგდო და იმ სახელ-გვარის მატარებელი 44-ე საჯაროში გაუშვით, „სამედიცინო მდგომარეობისა“ ვერაფერი შეატყვეთ?

კაი დროს გაუსწრია იმდღევანდელი გმირის მოგვარე ჯანდაცვის მინისტრს თავისი პოსტიდან, თორემ ვაი თუ „სამედიცინო მდგომარეობა“ იმას დაბრალდებოდა...

მივესალმოთ ახალ მდგომარეობას, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს — სამედიცინო მდგომარეობას და შევიდეთ მინისტრის მოადგილის მდგომარეობაში!

მივესალმოთ საგანათლებო (საგანმანათლებლოში არ ავურიოთძ რეფორმას —„და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა...“

**ლუკა გორგაძე**

№ 202. შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

ჩვენი, ჟურნალისტების მოვალეობაა მივუთითოთ ხელისუფლებას, როცა ის უსამართლოდ იქცევა, მაგრამ ამავე დროს დავუფასოთ პოზიტიური ნაბიჯებიც



◉ ახალგაზრდა კოლეგების გასაგონად

## ვემსახუროთ მხოლოდ სიმართლეს!

**გიყურებთ და ვგრძნობთ თუ როგორ ითრევთ ერთმანეთს ცილისწამებათა ჭაობში.**

**ვხედავთ, კონიუნქტურულ და შეკვეთილ ბრძოლას და ერთმანეთის ჩაძირვას, როგორ შორდებით ხალხს, ქვეყნის რეალურ ინტერესებს და ერთმანეთის განქიქებაში ორად ყოფთ ტელემაყურებელთა დიდ აუდიტორიას.**

არადა, ჩვენ არც იმ წვლილის დავიწყება შეგვიძლია, რომელიც „რუსთავი-2“-მა შეიტანა „ვარდების რევოლუციაში“ და არც იმ ბრძოლისა, რასაც „იმედი“ ეწეოდა სიტყვის თავისუფლებისათვის რევოლუციის შემდეგ.

ორივე ჩვენი პირმშო, ჩვენი სარკე და იმედი ხართ საქართველოს უკეთესი მერმისისათვის ძალისხმევაში.

მაგრამ არც ისვარგა, როცა „რუსთავი“ მხოლოდ ვარდისფერს ხედავს ქვეყნის ხელისუფლების საქმიანობაში, და არც ის, როცა „იმედი“ ნეგატიურზე ამახვილებს ზედმეტ ყურადღებას.

ჩვენი, ჟურნალისტების მოვალეობაა მივუთითოთ ხელისუფლებას, როცა ის უსამართლოდ იქცევა, მაგრამ ამავე დროს დავუფასოთ პოზიტიური ნაბიჯებიც. ჟურნალისტიკაში ცალმხრივობა მიკერძოება და ნიშნის მოგება დაუშვებელია უპირველესად ყოვლისა თავად ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

თქვენი დაპირისპირებით ისე იხლიჩება ერი, რომ, შესაძლებელია, არა თუ ხელისუფლება ვერ მივიდეს არჩევნებამდე, არამედ სრულიად საქართველოც.

პოლიტიკურად ისედაც დაძაბულ ვითარებაში თქვენი დაპირისპირების ცეცხლზე ნავთს ასხამთ და ობიექტურად ამზადებთ სამოქალაქო ომს.

კოლეგებო, შეწყვიტეთ ერთმანეთის თათხვა, დააყენეთ პირად ინტერესებზე მაღლა საქართველო და ყოველი ინფორმაციით მოგვეცით ქვეყნის რეალური სურათი, ქვეყნისა, რომელიც მართლაც დგას ცივილური ყოფნა-არყოფნის გზაგასაყარზე.

ჟურნალისტები, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც პოლიტიკოსები ვართ და სწორედ ჩვენს პოლიტიკურ სიმწიფეზეა დამოკიდებული ბევრად ქვეყნისა და იმ ხელისუფლების ბედიც, რომელსაც თანავუგრძნობთ ან — პირიქით.

არც ეს ხელისუფლებაა ანგელოზი და არც ის, რომელიც მომავალში მოვა. ამიტომ ნუ ვიქნებით გულუბრყვილო და ბრმა იარაღი ნურც ხელისუფლების, ნურც ოპოზიციის ხელში.

არავინ „ჭამს“ იმას, რომ როცა ერთი ტელევიზია მარტო ხელისუფლების, ხოლო მეორე — მარტო ოპოზიციის ინტერესებით აპელირებს, თითქოს ობიექტურობასა და დემოკრატიას ემსახურება.

სამწუხაროდ, საქართველომ, სწორედ დამოუკიდებლობის შემდეგ, ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი გააშარჟა — სიტყვა პრეზიდენტი — დიქტატორად ალიქმება.

პარლამენტი — ამაოების ბაზრად.

იუსტიცია — სამართლიანობის კარიკატურად.

მინისტრი — მუქთამჭამელად

ხოლო დემოკრატია — ბილწსიტყვაობად.

პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ფასეულობათა ამ დევალვაციაში, სამწუხაროდ, ლომის წილი ტელევიზიებსაც მიგიძღვით (თუნდაც ამორალური სერიალებითა და ჯეობარებით, უკბილო შოუებითა ჩაწყობილი „იურმალებით!“ძ. ახლა ნუ ვიდავებთ იმაზე, ვის მეტად ან ვის ნაკლებად გეხებათ ჩვენი (თუნდაც მარტო ჩემიძ საყვედური. მთავარია, რომ ამ დაპირისპირებით, რომელსაც იურმალას სკანდალის შემდეგ ღიად წარმართავთ, აგებს ქვეყანა, აგებთ თქვენც და აგებს ჭეშმარიტება.

აგებს სიმართლე, რისთვისაც ვართ ჟურნალისტები მოწოდებული. ვალდებული ხართ დაზავდეთ და გახსოვდეთ: საქართველო უპირველეს ყოვლისა!

**ომარ ჩიტაია,**

**ჟურნალ „მუსიკალური საქართველოს“ რედაქტორი, გასული საუკუნის 80-იან წლებში საზოგადოებრივ (ანუ პირველ) არხზე სამეცნიერო-პოპულარული ციკლის „მამული ჩემის“ წამყვანი.**

№ 202. შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

◉ უფლება

## უმადურობა ყველაზე ცუდი საქმეა

**ამ ამბავზე ლაპარაკი იმით უნდა დავიწყო, რითაც ეს ამბავი უნდა დამთავრდეს, — ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომას 18 კაცი ესწრებოდა. წესით კი 20 უნდა დასწრებოდა. ამიტომაც იგი არ იყო უფლებამოსილი. ამდენად ამ სხდომამ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო და მორჩა.**

ეს იყო სახელისუფლებო დირექტივა, რომელიც ამ 18-მა ადამიანმა პირნათლად შეასრულა. მათ ყველაფერი პირში უთხრა გაუტეხელმა ნონა გაფრინდაშვილმა და კიდევ ლერი ხაბელოვმა, რომელმაც ყველა დირექტივაზე წინ პრინციპი დააყენა. სხდომაზე სხვაც ბევრი იყო ალმასკომის არაწევრი, საჯაროდ მოზღვავებული ხალხი, მაგრამ ხმის უფლების მქონე, კიდევ გავიმეორებ, სულ 18 ადამიანი იყო!

თავი დავანებოთ ამ არითმეტიკულ დავას. ბადრი პატარკაციშვილის ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ფაქტების მიჩუმათებაც არ შეიძლება. ჩვენი „დიდი პატრიოტებისგან“ განსხვავებით, მან ფული რუსეთში იშოვა და არა საქართველოს ძარცვით. როდის იყო, რუსეთის ქონებაზე აქ ვინმე დარდობდა, თუმცაღა ზოგიერთმა, რომელსაც „ტელეიმედი“ ყელში აქვთ გაჩრილი, ამაზეც დაიწყო გლოვა.

იმ 9 მილონმა დოლარმა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა ქართული სპორტისათვის გაიღო და კიდევ 2 მილიონის გაღებას აპირებდა, ბევრ ადამიანს გაუმართა ხელი — სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ვეტერან ჟურნალისტებს... ამა წლის პირველ კვარტალში, როცა რაღაც მიზეზის გამო ლონდონიდან თანხის გადარიცხვა არ მოხერხდა, ლამის მთელი ჩვენი სპორტული სამყარო დარჩა უხელფასოდ.

არაფერს არ ვაზვიადებ — კაცს სიკეთე თუ არ დაუფასე, თვითონ უკეთური გამოდიხარ. არც იმის მოსმენა მსურს, რომ მან იყიდა ცირკი, მთაწმინდა და ასე შემდეგ. თუ ყაზახებსა და არაბებს, გინდაც ჩინელებს შეუძლიათ საქართველოში კარგი ადგილების შეძენა, ძველი ენგელსის ქუჩაზე დაბადებულ და გაზრდილ კაცს, რომელსაც, კიდევ ვიმეორებ, საქართველო არ გაუძარცვავს, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება?!

**გიორგი ჩოჩიშვილი**




◉ რეგიონი

## თურმე, უჭირს არარსებულ კაშხალთან არსებულ ქალაქს!

**იყო დრო, როდესაც საქართველოს ერთად ერთ ტელევიზიაში არსებობდა სტილისტების თანამდებობა, რომელთა ხელმოწერის გარეშე ტექსტი არ გავიდოდა ეთერში. მართალია რედაქტორებს, როგორც წესი, ევალებოდათ გადაცემის სიტყვიერი მასალის შინაარსობრივ-სტილისტურ „აჟურში“ მოყვანა და ასე „გაწმენდილ“-დამუშავებულის მიწოდება დიქტორისა თუ წამყვანისათვის, მაგრამ სტილისტის სამსახური მაინც არსებობდა!** ამით თავიდან იყო აცილებული ქართული ენის „დაბინძურების“ მცირედი შანსიც კი და ვისაც ახსოვს, დაგვეთანხმება, გაცილებით სუფთა ქართული ისმოდა ეკრანიდან.



მაგრამ გავიდა დრო და დემოკრატიის „დროშით“ შემოსულმა ტელევიზიების ამქარმა, ნაკლებად საჭიროდ მიიჩნია სტილისტის სამსახური და იგი საბოლოოდ „ამოღებული იქნა ხმარებიდან“. იმ აზრის მოშველიებით, თითქოს, ტელევიზიაში მაღალკვალიფიციური „კადრები“ მობრძანდნენო, წამოვიდა დაბინძურებული, გაუმართავი, „თავისუფალი“ მეტყველების ნიაღვარი. ამან გამოიწვია ის, რომ „ახალამოყოჩილმა“ ე. წ. „თამამმა ჟურნალისტებმა“ თავს უფლება მისცეს ილაპარაკონ ისე, როგორც ენაზე მოადგებათ.

ამით მივიღეთ ის, რომ თანდათან შეირყვნა ქართული ენის სტილი და კულტურა. ამ „დემოკრატიულ“ პროცესებს დაემატა სრულიად უკონტროლოდ „შექმნილი“ სარეკლამო კლიპები და დამკვიდრდა ე. წ. „სატელევიზიო ჟარგონი“. თუ ოდნავ მაინც მოიცლით და თვალყურს მიადევნებთ სატელევიზიო ენას, თვითონ იხილავთ ნათქვამის დამადასტურებელ მაგალითებს. ყოველივე ამას ემატება ე. წ. ტელეჟურნალისტების ნაჩქარევი, მოუმზადებელი სიუჟეტები, სადაც, არათუ ქართულ ენას იგდებენ აბუჩად, არამედ თვით ფაქტებსაც ამხაინჯებენ და, როგორც ეტყობა, ისიც კი არ იციან, სად არიან, რა უნდა თქვან და რისთვის ამბობენ სათქმელს. ამიტომაა, რომ ერთწუთიანი სიუჟეტი ხუთი წუთი გრძელდება და აბდაუბდა ნათქვამით ვერაფერს გაიგებ.

აი, ერთი მაგალითი: თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში ასეთი ტექსტი ჟღერს: „...25 წლის საქართველოს მოქალაქეებს!...“ ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მე მგონი, 25 წელზე 2975 წლით უფროსი მაინც არის (მეტი თუ არა!ძ! თუმცა, რაღა 2975 წლის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ, როდესაც ჩვენს ე. წ. „ჟურნალისტებს“ დღევანდელი ამბავიც ვერ გაურკვევიათ.

ამას წინათ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტმა მოამზადა სიუჟეტი, სადაც წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარის მოსახლეობისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხზე იყო ლაპარაკი, — ჯვარის მცხოვრებლები სასმელი წყლის უქონლობას უჩიოდნენ! თავისთავად ეს საკითხი, მართლაც პრობლემურია ჯვარელებისათვის, მაგრამ ჟურნალისტებს წესიერად რომ გამოეკითხათ, გაიგებდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ამ ორიოდე თვის წინათ, რა ზარ-ზეიმით „ჩაიბარა“ ე. წ. განახლებული წყალსადენი, და მეორე, — ქალაქი ჯვარი „ხუდონჰესის თაღოვან კაშხალთან ახლო მდებარე“ ქალაქი არ არის, რადგან ჯერჯერობით არც ხუდონჰესი არსებობს სამყაროში და არც მისი თაღოვანი კაშხალი! ამას ჰქვია უპასუხისმგებლო, ჰაიჰარად, როყიოდ წამოსროლილი სიტყვები და „აზრები“, რომელთა ავტორები „ყურის აწევას“ თუ არა, შენიშვნას მაინც იმსახურებენ, მით უფრო, რომ ასეთი მაგალითი ჯვართან დაკავშირებით პირველი შემთხვევა არ არის! — მაშინ კინაღამ არარსებულ ადიდებულ მდინარეს „წაალებინეს“ ჯვარი და მისი ცენტრი, დღეს კი, სადაღაც, გაუგებარ გეოგრაფიულ განედზე გადაისროლეს ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ დაარსებული დასახლებული პუნქტები.

ეჭვი გვეპარება, იქნებ სხვა ინფორმაციითაც ასე გვატყუებენ (თუმცა რა საჭიროა აქ სიტყვა „იქნებ“ძ?

ვფიქრობ, სანამ ხალხი თავის მთავარ სათქმელს იტყვის, სჯობია ტელეჟურნალისტებმა კეთილი ინებონ და „გაიმდიდრონ“ თავიანთი „გრამატიკულ-ლინგვისტური“ თუ გეოგრაფიული ცოდნის დონე!

**ზაურ ფიფია**

## ● აკადემიკოს ნ.ბერძენიშვილისთვის „იერლი“ მუსლიმი ქართველი იყო



### სიმართლე კი ასეთია!..

მწარმოებელი კლასის ერთი ნაწილი ომებს შეეწირა, ნაწილი დამპყრობლებს გაეცალა და საქართველოს სხვა კუთხეებს შეაფარა თავი. 1595 წლის თურქი მოხელეების მიერ ჩატარებული აღწერის შედეგად შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით გაუკაცრიელებული იყო არანაკლებ 364 სოფელი. ამასთან, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ კანონების წიგნში („კანუნნამეში“) ჩაწერილია: „აქ საზღვარია და აქ ხალხის ჩასახლებაა საჭირო“.

ავალიანის აზრით, ოსმალური „კანუნნამეს“ მოთხოვნა განხორციელდა. მესხეთში თურქები მომრავლდნენ. ამას თურქული მიწათმფლობელობის არსიც უწყობდა ხელს. სამცხე-საათაბაგოს ციხე-სიმაგრეებში მოხდურების მიერ ჩაყენებულ მეციხოვნეებს გასამრჯელოდ მიწის ნაკვეთები, სამხედრო ლენები (საკარგავები) ეძლეოდათ. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ „მესხეთის მოსახლეობის მეორე ნაწილი და, როგორც ირკვევა, დიდი უმეტესობა საკუთრივ თურქების შთამომავლობაა“.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამირან ავალიანის ამ მოსაზრებას შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც საისტორიო წყაროები გვამცნობენ, მესხეთიდან ქართველების ნაწილის გადასვლა საქართველოს კუთხეებში XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან აქ ისლამის ძალდატანებითმა დანერგვამ განაპირობა. „კანუნნამეს“ შედგენის დროს თურქები ჯერჯერობით მესხების ქრისტიანობას ჯერდებოდნენ. რაც შეეხება ოსმალთა მიერ გაუკაცრიელებული სოფლების დასახლებას, ამის შესახებ არც ოსმალურ და არც ქართულ წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. „კანუნნამეს“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში ყველაზე გავერანებული პეტრეს ლივა, ისტორიული თორი (დღევანდელი ბორჯომის რაიონი) იყო. ეს მხარე XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი არ იყო დასახლებული. მოსაზრებას ოსმალო მოხელეებისთვის დიდი რაოდენობით მიწის დარიგების შესახებ აბათილებს ის ვითარება, რომ თვით XIX საუკუნეშიც მიწათმფლობელთა უმეტესობა ქართველ თავადაზნაურთა შთამომავლები, ბეგები (ჯაყელები, ავალიშვილები, ამილახვრები, დიასამიძეები, ვაჩნაძეები, მაჩაბლები, ყიფიანები, აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები, ერისთავები, ფალავანდიშვილები და სხვ.) იყვნენ.

1989 წლის 28 ივლისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლევან ურუშაძის სტატია „ყური ვუგდოთ ხალხის ხმას“. ეს წერილიც მსგავსი პათოსითაა დაწერილი. ავტორი ეყრდნობა საბჭოთა პერიოდის 20-30-იან წლების მონაცემებს, სადაც მაჰმადიანი ქართველები საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად თურქებად არიან ჩაწერილი. იგი სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობას, „იერლის“ მნიშვნელოვან ნაწილს, ანატოლიიდან შემოსახლებულ თურქებად აცხადებს. არადა, სამცხე-ჯავახეთის ცნობიერებაში „იერლი“ მაჰმადიან ქართველთან ასოცირდება. „იერლი“ თავს ანსხვავებდა როგორც თურქისაგან, ასევე თარაქამას და ქურთისაგან. ანდა, როგორ შეიძლება „იერლი“ ანატოლიიდან შემოსახლებულად მივიჩნიოთ, როდესაც ისინი თავიანთ თავს „იერლი დევნამა“, ესე იგი ადგილობრივ რჯულშეცვლილ, რჯულგადატრიალებულად მოიხსენიებდნენ. ანატოლიიდან შემსახლებულთ კი რჯულის შესაცვლელი არაფერი ჰქონდათ.

მსგავსი სულისკვეთებითაა დაწერილი ბატონ ლევან ურუშაძის 2002 წლის ჟურნალ „ეთნოპოლიტიკაში“ დაბეჭდილი წერილი „კვლავ მესხეთელი თურქების შესახებ“. ამ წერილში ერთობ საინტერესოა „ვინმე მესხის“ – ივანე გვარამაძისეული ცნობის ინტერპრეტაცია XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მას ეს ცნობა გამაჰმადიანებული მოსახლეობის თურქობის დასამტკიცებლად მოჰყავს. „ვინმე მესხი“ გვაუწყებს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან მასას შეადგენდნენ „სომეხნი მაჰმადიანნი, თარაქამანი, ქურთნი, ბოშანი და მისთანა შემორეულნი გვარნი“. ეს ცნობა ბატონ ლევანის დებულების დასამტკიცებლად არ გამოდგება. მაჰმადიანებში თუ ი. გვარამაძე გამაჰმადიანებულ ქართველებს – მესხებს არ მიიჩნევდა, მაშინ მაჰმადიან თარაქამებსა და ქურთებს ცალკე არ გამოჰყოფდა. შემდეგ პატივცემული ავტორი საზოგადოებას 1918-1921 წლების მოვლენებს შეახსენებს და აცხადებს: – „მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ მსგავს ფაქტებს არ ჰქონია ადგილი აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობის დიდ ნაწილს ასევე მუსლიმანები შეადგენდნენ“. პატივცემულ მეცნიერს შევახსენებ, რომ მსგავს ფაქტებს აჭარა-ქობულეთშიც და დანარჩენ გამუსლიმებულ საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ასეთი კუთხე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არ გამოსულიყვნენ.

1989 წლის 24 ნოემბრის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის თინა იველაშვილის წერილი „შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს“. ეს წერილიც მსგავსი პათოსითაა დაწერილი. ქალბატონი თინა იველაშვილი პირველწყაროებზე უმეტეს მნიშვნელობას ეთნოგრაფიულ მონაცემებს ანიჭებს. იგიც, მსგავსად ლ.ურუშაძისა, 1926 და 1930 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელშიც ქართველი მაჰმადიანები თურქებად და თათრებად არიან აღრიცხულნი, მაჰმადიანი ქართველებით („იერლი“-ძ დასახლებულ გულსუნდა და ხერთვისი ქურთებით დასახლებულ სოფლებად წარმოგვიდგენს.

აკადემიკოს ნ.ბერძენიშვილისთვის „იერლი“ მუსლიმი ქართველი იყო. კარგი იქნებოდა, თუ პატივცემული მკვლევარები ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ პირველ ტომს ხელახლა წაიკითხავენ, სადაც ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში, გულსუნდაზე, როგორც მაჰმადიანი ქართველებით „იერლით“ დასახლებულ სოფელზეა საუბარი. აი, რას გადმოგვცემს ნ. ბერძენიშვილი თავის „ჯავახეთის დღიურებში“: „აქ გზაზე გულსუნდელი „იერლი“ შეგვხვდა („იერლი“ კოთელიელი კაცის ლექსიკონით „მკვიდრია“. მან იცის, რომ ის თურქი არ არის, არც ქურთი, არც თარაქამა, არც ქართველია“. „ქართველი“ იერლისთვის ქრისტიანს ნიშნავდა. ნ. ბერძენიშვილი ხოსპიოს ნახევარში, ოკამში და სხვაგან მცხოვრებ „იერლის“ მაჰმადიან ქართველებად მიიჩნევდა. ვის დავუჯეროთ, ისტორიულ წყაროებს და ნ. ბერძენიშვილს თუ მთხრობელთა მონაცემებს?! ნუთუ ქურთები იყვნენ ხერთვისელი ვაჩნაძეები, დიასამიძეები, ბაქრაძეები, დემურაშვილები, ზურაბაშვილები, ტალახაძეები, გეგიძეები და სხვა მაჰმადიანი ქარველები?! ნუ დავუმტკიცებთ ქართულ მიწა-წყალს გადამთიელთ, პანთურქისტი კირისიოლლების, ზეირაქების და იუნუსოვების ფერხულში ნუ ჩავდგებით!

2005 წლის 21 სექტემბრის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა აწ განსვენებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თეიმურაზ მიბჩუანის პუბლიკაცია „მესხეთელი თურქების ვინაობის ისტორიიდან“, სადაც ავტორი მათ უაპელაციოდ ოსმალეთის მიერ ჩამოსახლებული თურქების შთამომავლებად, მათ პირველ სამშობლოდ კი შუა აზიას აცხადებს.

2005 წელს ალექსი მიქელაძემ საქართველოს ეროვნული აკადემიის ეგიდით გამოაქვეყნა ბროშურა „დეპორტირებული მაჰმადიანები და საქართველო“. ბატონი ალექსი მიქელაძე ბატონ შოთა ნოზაძის მიერ ქ.პოდოლსკში მოძიებული დოკუმენტური მასალის – 1944 წლის 28 ნოემბრის დათარიღებული ლავრენტი ბერიას მიერ იოსებ სტალინისა და მოლოტოვის სახელზე გაგზავნილი ბარათიდან ასკვნის, რომ დეპორტირებულ მაჰმადიანთა შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანნი თურქები ყოფილან.

ბატონი ა. მიქელაძე ხალილ გოზალიშვილს, მესხეთის საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარეს ხოზრევანიძეს მისი უშუალო წინაპრების მიერ 1918-1921 წლების სამცხე-ჯავახეთში ჩადენილი დანაშაულების შეფასებას სთხოვს. განა შეიძლება მთელი ხალხი დამნაშავედ გამოვაცხადოთ? ან საიდან ვიცით, რომ ბატონი ხოზრევანიძის უშუალო წინაპრებმა ჩაიდინეს ის დანაშაული? იქნებ ერთ-ერთი წინაპარი ის ხოზრევანიძე იყო, რომელიც ახალციხის მაზრის მუსულმანთა ესკადრონში ირიცხებოდა და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციების პანთურქისტებისა და დაშნაკებისგან განთავისუფლებაში ლომის წილი შეიტანა?!

აქამდე ამ საკითხისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში ყველაზე უფრო გაწონასწორებული ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძისა და ლავრენტი ჯანიაშვილის მოსაზრებებია. ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს 1989 წლის 23 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „ფერგანის ამბების გამო“ ოსმალთა პერიოდში თურქთა ნაწილობრივი ჩამოსახლება შესაძლებლად და შესაბამისად, 1944 წლის 14 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული, მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილი თურქებად მიაჩნია. იგი ამავე დროს კატეგორიულად გმობს იმ ვანდალურ აქციას, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ 1944 წლის შემოდგომაზე განახორციელა. ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე პროქართული ორიენტაციის მესხების დიდი სიფრთხილის გამოჩენითა და ეტაპობრივად სამშობლოში დაბრუნების მომხრეა.

ლავრენტი ჯანიაშვილს 2006 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის“ მესხეთში ოსმალთა ბატონობის პერიოდში თურქულ-თურქმენულ წარმომავლობის ცალკეული პირების შემოღწევა დასაშვებად მიაჩნია.

**ზურაბ ცინცაძე**

(გაგრძელება იქნება)

# ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 198-201.

### ინფორმაცია

## შეღავათიანი სესხი ბათუმის განვითარებისთვის

**საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიხედვით, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის (ფაზა II) პროექტისთვის 13 მლნ. ევროს შეღავათიანი სესხი გამოიყოფა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული თანხა იმავე პროექტის პირველი ფაზისთვის გამოყოფილ დაახლოებით 18,6 მლნ. ევროს დამატებაა.**

**გარდა ამისა, 7 მლნ. ევროს ოდენობის გრანტი საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სხვადასხვა პროექტებისთვის არის გათვალისწინებული.**

**პროექტისთვის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიერ თანადაფინანსების პრინციპზე მაქსიმუმ 15 მლნ. ევროს ფინანსური დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით, გერმანიის მთავრობა ფინანსურ თავდებობას იღებს.**

**სასურსათო საქონელზე ფასები კვლავ გაიზარდა**

**ფასების საერთო დონე თბილისში, წინა კვირასთან შედარებით, 1,08 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, სასურსათო საქონელზე – 1,94 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონლის და მომსახურების ფასები უცვლელი იყო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს, თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა მიმდინარე წლის 11 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე 101,08 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ინდექსი 49 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს.**

**წინა კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა პომიდორზე (17,9%-ით), შაქარზე (14,6%-ით), ზეთზე (13,9%-ით), ყველზე (5,5%-ით), კიტრზე (4,0%-ით), მაწონზე (1,9%-ით), ლოსიზე (1,8%-ით) და კვერცხზე (0,8%-ით). ამასთან, ფასები შემცირდა გაყინულ თევზზე (5,9%-ით) და კარტოფილზე (5,0%-ით).**

**ინტერპრესნიუსი**

№ 202. შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

● სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერის განმარტებით, უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტი თავშესაფარს აფხაზეთის მთავრობას სთხოვს



◉ ეკონომიკა

# ვის პოზიციას ახმოვანებს ლაკობა?

***საქართველოში ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენები რუსი პოლიტიკოსებისათვის ახალი განცხადებების გაკეთების მშვენიერი შანსი გახდა. ისინი ხან ერთ დროს მათთვის მიუღებელი ყოფილი თავდაცვის მინისტრის დამცველებად გვევლინებიან, ხან საქართველოში ადამიანთა უფლებების დარღვევებზე აკეთებენ მკვეთრ განცხადებებს და სახელმწიფო სათათბიროში დადგენილებებს იღებენ, ხანაც პროვოკაციული განცხადებებით ცდილობენ ქართული საზოგადოების დაბნევას, მის ორ ან რამდენიმე ნაწილად დაყოფას, რასაც ნოყიერ ნიადაგს უქმნის ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის უგუნური განცხადებები, გამოსვლები და ქმედებები.***

***როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, რუსი დეპუტატები თავიანთი სპეცსამსახურების სქემით მოქმედებენ.***

## პროვოკაცია თუ რეალობა?

**რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებმა თავიანთ საქმიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეჟიმების მაღალჩინოსნებიც ჩართეს – აცხადებს ჩვენთან საუბარში უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, თადარიგის მაიორი როლანდ სართანია.**

მისი გადმოცემით, რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი თვითგამოცხადებული სახელმწიფოს უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ საინფორმაციო საშუალება „რეგნუმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სენსაციური განცხადება გააკეთა.

სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერის განმარტებით, **უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტი თავშესაფარს აფხაზეთის მთავრობას სთხოვს**. იგი ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულსაც იხსენებს და ინტერვიუში მაგალითად მოჰყავს 1993 წელი, როდესაც შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად განდევნილმა საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავშესაფარი აფხაზეთის ხელმძღვანელობას სთხოვა და იქედან უწევდა შეიარაღებულ წინააღმდეგობას შევარდნაძის დე ფაქტო ხელისუფლებას.

„რეგნუმში“ ლაკობა სხვა განმარტებებსაც აკეთებს. კერძოდ, აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში სააკაშვილის ყოფნა და მისი ვითომცდა მუქარა, შენიშნავს, სინამდვილეში იგი ცდილობს შეიქმნას პლაცდარმი აფხაზეთში დაუბრკოლებლად და ყოველგვარი ეჭვის აღძვრის გარეშე გადასვლისა. **ლაკობას განმარტებითვე სააკაშვილი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს აფხაზეთის უმაღლესი თანამდებობის პირებთან.**

## საქართველოდან მოპარული მანქანები – როსტოვში

**ჩვენი სამართალდამცავებისგან, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში, ხშირად ისმის განცხადებები, რომ ამა თუ იმ ყაჩაღურმა დაჯგუფებამ, მორიგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავს ენგურის ხიდზე გადასვლით უშველა.**

ხიდზე დაუბრკოლებლად გადადიან მოპარული, გატაცებული ავტომანქანები. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც ქართულ-აფხაზურ დროებით საზღვარს სამშვიდობო ძალები, ე. წ. „ცისფერჩაფხუტიანები“ აკონტროლებენ. მათი სარდლობის განცხადებით კი, სამშვიდობოების გარეშე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩიტიც ვერ შეფრინდება.

როლანდ სართანიას გადმოცემით, „ცისფერჩაფხუტიანებს“ მჭიდრო კონტაქტები აქვთ ქართულ, შერეულ ქართულ-აფხაზურ კრიმინალურ დაჯგუფებებთან. გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ბანდფორმირებებს სეპარატისტების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის, ნაქურდალის, ნაქარცვის შეტანის უფლებასაც აძლევენ.

ყოფილი უშიშროების სამსახურის თანამშრომლის განმარტებით, სამშვიდობო ძალების მაღალჩინოსნები იქამდეც კი მიდიან, რომ კრიმინალებს სხვადასხვა მარკის ავტომანქანებზე შეკვეთებს აძლევენ. მანქანების გადამყვანთ მცირე თანხებს უხდიან. ნაქარცვ მანქანებს კი რუსეთში ათმაგად ჰყიდიან. „ცისფერჩაფხუტიანებს“ არც ტრანსპორტის პირად მფლობელობაში გაფორმება უჭირთ. ადგილზევე მუშაობს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სარეგისტრაციო სამსახური, რომელიც დაუბრკოლებლად უკანონებს უკანონოდ მოპოვებულ ავტომობილს მის „მეპატრონეს“. არავინ ინტერესდება რეკვიზიტების გადამოწმებით. მთლიანად იგნორირებულია კონტაქტები საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან.

სამშვიდობოებს პრობლემები არც რუსეთის ფედერაციის საბაჟოს სამსახურებთან ექმნებათ. გარკვეული გასამრჯელოს გადახდის შემდეგ ნაქარცვი ავტომანქანა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შედის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინათ მოხდა მოულოდნელი რამ – რუსეთის, როსტოვის

➡

◉ ეს იყო, იყო...

# როგორ აშენებდა



**მეფის რუსეთის იმპერიის („ევროპის ჟანდარმის“ძ საპატიმრო ადგილები წარმოადგენდა პოლიტიკურ დაწესებულებას, რომლის ყველა საპყრობილე 100 ათას პატიმარზე იყო გათვლილი.**

მოხდა ე. წ. „ოქტომბრის გადატრიალება“, რასაც მოჰყვა რეპრესიები და პატიმართა საგრძნობი მატება, შესაბამისად, დაიწყო საპატიმრო ადგილების ინტენსიური ზრდა. ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი მოითხოვდა რეპრესიების გაზრდას, ხოლო იმავე წლის მაისში კი უბრძანებდა ქრთამის ამღები პიროვნება 10 წლის ვადით ჩაესვათ ციხეში და ამასთან ერთად მისთვის კიდევ 10 წლით იძულებითი მუშაობა მიესაჯათ, ე. ი. მექრთამეობისთვის სასჯელი – 20 წლით განსაზღვრა!

1918 წლის აგვისტოში ლენინი, მასზე ფანი კაპლანის თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე, პენზის საგუბერნიო საბჭოს სახელზე გაგზავნილ ტელეგრამაში მიუთითებდა: „საეჭვო ხალხი ჩაკეტეთ საკონცენტრაციო ბანაკში“. 10 დღის შემდეგ, 1918 წლის 5 სექტემბერს, გამოიცა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი „წითელი ტერორის“ შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ პეტროვსკი, კურსკი და ბონჩ-ბრუევიჩი. დეკრეტში, მასობრივ დახვრეტათა გარდა, ნათქვამი იყო – „გაიწმინდოს საბჭოთა რესპუბლიკა კლასობრივი მტრებისაგან, მათი საკონცენტრაციო ბანაკებში იზოლირებით!“

აღნიშნული დეკრეტი იყო პირველი ნორმატიული აქტი, რომელმაც შრომა-გასწორების დაწესებულებათა სისტემა დაამკვიდრა. თავდაპირველად საკონცენტრაციო ბანაკებს აწყობდნენ ყოფილ მონასტრებში, საიდანაც გააძევეს მღვდელმსახურები და მონაზვნები.

რუსეთში პირველი შრომა-გასწორების კოლონია, რომელიც 1918 წლის ივლისში პოდოლსკში შეიქმნა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა იყო. პატიმრები ამუშავებდნენ ნიადაგს და თესავდნენ მარცვლეულს. ამავე კოლონიაში ორგანიზებული იყო სადურგლო, სამჭედლო-საზეინკლო, ტარის დამამზადებელი და სხვა დამხმარე სახელოსნოები.

პოდოლსკის კოლონიის გამოცდილების გასავრცელებლად 1918 წლის 28 ნოემბერს მიიღეს ცირკულარული გადაწყვეტილება, რომელიც იუსტიციის საგუბერნიო განყოფილებებს ავალდებულებდა დაეჩქარებინათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ბანაკების შექმნა.

ბანაკების არსებობა საბოლოოდ ოფიციალურად გაფორმდა 1919 წლის 15 აპრილის დეკრეტით და 17 აპრილის დადგენილებით.

1922 წლის 1 იანვრიდან ბანაკები გადაიყვანეს თვითანაზღაურების პრინციპზე. ამ დროისათვის რუსეთში უკვე 195 კოლონა იყო შექმნილი...

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ, საქართველოში დააარსეს ე. წ. „პატიმართა გამასწორებელი სახლები“, ხოლო კოლონიები მოგვიანებით შეიქმნა.

1924 წლის თებერვალში საკავშირო საგანგებო კომისიის (ВЧК – Всесоюзная чрезвычайная комиссияძ თავმჯდომარე „რკინის“ ფეელიქს ძერჟინსკი შეთავსებით საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მან ჩეკისტების გადაყვანა თავისთან სამუშაოდ. და აი, იქ მათ დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამოეყენებინათ პატიმართა დიდი მასები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტების – ქიმიური, მეტალურგიული, ენერგეტიკული, ხის დამმუშავებელი საწარმოების და სხვა მშენებლობების საქმეში.

თავდაპირველად მდინარე ვიშერაზე ააშენეს რამდენიმე ბანაკი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ სოლოვეცკის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკები, რომლებსაც შემდგომში დაემატა თეთრი ზღვა-ბალტიის არხის მშენებლობის ბანაკი, რომელთა გაერთიანებით წარმოიშვა „გულაგი“ (Гулаг – Главное управление лагерейძ, რომელიც ოფიციალურად 1929 წელს დაარსდა. გულაგის პირველივე უფროსად დაინიშნა იმჟამინდელი საკავშირო საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ჰენრიხ იაგოდას პროტეჟე, ყველაზე უნარიანი ჩეკისტი მატვეი ბერმანი.

სპეციალურად შექმნილმა თეთრი ზღვა-ბალტიის ბანაკმა 1931 წელს დაიწყო ყველაზე გრანდიოზული არხის მშენებლობა, სადაც ქვეყნის ყველა მხრიდან ეშელონებით იგზავნებოდნენ პატიმრები. არ შევუდგები რეპრესირებული ხალხის შრომისა და ცხოვრების პირობების, მათი ტანჯვისა და ვარამის აღწერას. ეს საყოველთაოდ ცნობილია.

1933 წლის 2 აგვისტოს დამთავრდა თეთრი ზღვა-ბალტიის არხის მშენებლობა 100 ათასი პატიმრის ხელით. არხი, რომლის სიგრძე 227 კმ. შეადგენდა, ორ წელზე ნაკლებ დროში აშენდა. დამთავრებისთანავე საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვიაჩესლავ მოლოტოვმა ხელი მოაწერა სპეციალურ დადგენილებას, სადაც



**კახეთში აქტიურად ლაპარაკობენ, რომ სიღნაღის რაიონის ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონის დირექტორს თემურ ბალარჯიშვილს მისი ვაჟი მფარველობს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მაღალჩინოსანია**



საბაჟოს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სამშვიდობოებზე გაფორმებული 7 ძვირადღირებული ავტომანქანა, 2 ჯიპ-„ჩეროკი“, 2 „მერსედესი“, 3 „ბმვ“-ძ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ავტომანქანებს არა აქვთ ტექპასპორტები, ყიდვა-გაყიდვის ოქმები, რაც ადასტურებს, რომ „ცისფერჩაფხუტიანებს“ მანქანები საქართველოდან რუსეთში გასაყიდად გადაჰყავდათ. საბაჟო სამშვიდობოებს კონტრაბანდაში სდებს ბრალს.

სართანია ვარაუდობს, რომ მანქანების უმეტესობა თბილისიდანაა გატაცებული. რამდენიმე ზუგდიდან და ქუთაისიდანაც გაიტაცეს. მისთვის უცნობია, რამ გამოიწვია სიამტკბილობით ცნობილი საბაჟოსა და სამშვიდობოების მოულოდნელი, მკვეთრი დაპირისპირება.

ასევე უცნობია კონტრაბანდისტობაში ბრალდებული „ცისფერჩაფხუტიანების“ ვინაობაც.

როდესაც მოპარული, ნაქარცვი ავტომანქანები თბილისიდან დაუბრკოლებლად აღწევს ქართულ-აფხაზურ ადმინისტრაციულ საზღვარს, რას აკეთებენ პატრული, ოპერატიული სამსახურები? ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ შსს-მ მთლიანად დაკარგა კონტროლი არა მხოლოდ კრიმინოგენურ ვითარებაზე, არამედ საკუთარ თანამშრომლებზე. სამინისტროს ხელმძღვანელობა მთლიანად პოლიტიკურ ბატალიებშია ჩართული.

ექსპერტები თვლიან, რომ ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც ურთულეს კრიმინოგენურ ვითარებას.

**ზაზა ბილიხოძე**



**კახეთის მხარე**

# არავის აქვს უფლება ბავშვებს პირუტყვებივით მოეპყრას

**სკოლა-პანსიონებში არსებულ საგანგაშო ვითარებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი სკანდალური ფაქტი სიღნაღის რაიონში გამოვლინდა. გაირკვა, რომ ბოდბეში მცირეწლოვან ბავშვებს მედიკამენტებს დაუდევრად აძლევდნენ და სამედიცინო მომსახურებასაც მუდმივად არაპროფესიონალი უწევდა.**

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პანსიონში მომუშავე ექიმი, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტებთან საუბრისას აღიარებს, რომ მისთვის სამსახურში მიღებისას დირექტორს პედიატრიაში მუშაობის დამადასტურებელი მოწმობა არ მოუთხოვია... (!)

კახეთში აქტიურად ლაპარაკობენ, რომ სიღნაღის რაიონის ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონის დირექტორს თემურ ბალარჯიშვილს მისი ვაჟი მფარველობს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მაღალჩინოსანია.

როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კახეთის ბიუროსთვის გახდა ცნობილი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა სკოლა-პანსიონების მონიტორინგი განახორციელეს, რის შედეგადაც საკმაოდ შემაშფოთებელი დასკვნები დაიდო. ამჯერად, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში არსებულ პანსიონში გამეფებულ განუკითხაობაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

„— დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ბოდბის პანსიონატში ბავშვებს სამედიცინო მომსახურებას პედიატრის ნაცვლად თერაპევტი უწევდა. ექიმის არყოფნის დროს მისი დანიშნულების გარეშე სკოლა-პანსიონის ბავშვებს წამალს ექთანი აძლევდა. ეს კანონდარღვევად ჩავთვალეთ და ბუნებრივია, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებს ვაცნობეთ. ინფორმაცია ასევე მივაწოდეთ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოსაც, რათა შეესწავლათ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის სკოლა-პანსიონში დაფიქსირებული სამედიცინო საქმიანობის დარღვევის ფაქტები.“ — განაცხადა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მერი მაღლაფერიძემ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტებთან საუბრისას.

როგორც შევიტყვეთ, პანსიონში არსებული ვითარება სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტომაც შეისწავლა. მათ მიერ მომზადებულ დასკვნაში წერია: „ბოდბის სკოლა-პანსიონის ექიმი ლელა მაჭარაშვილი სერტიფიცირებულია სპეციალობაში „შინაგანი სნეულებანი“, თუმცა უკანონო საქმიანობას ეწევა პედიატრიის პროფილით.“

სულ მალე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმიც შედგა, რომელიც სიღნაღის რაიონულ მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილს გადაეგზავნა. ასევე, სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე დაისვა დაწესებულების ექიმის პასუხისგებაში მიცემის საკითხი. შევიტყვეთ, რომ სიღნაღის მოსამართლე კიკილაშვილის გადაწყვეტილებით ექიმს ადმინისტრაციული ჯარიმის სახით 1 000 ლარის გადახდა დაეკისრა. სამედიცინო რეგულირების სააგენტომ სკოლა-პანსიონის დირექტორს თემურ ბალარჯიშვილს ექთნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი დაავალა.

უფლებათა ცენტრის იურისტები მიიჩნევენ, რომ სკოლა-პანსიონის დირექტორი სამსახურებრივ მოვალეობებს გულგრილად უდგება, რაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ცენტრში აღნიშნავენ, რომ მომხდარით არ დაინტერესებულა არც განათლების სამინისტრო და არც სამართალდამცავი ორგანოები, მით უფრო, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან ამბავი დეტალურად აცნობეს...

ეს ყველაფერი კი იმ ფონზე ხდება, როცა ქვეყნის ხელისუფლება სიღნაღის აღმშენებლობასა და მის ევროპულ სტანდარტებზე, ასევე ტურისტთა დაინტერესებაზე გველაპარაკება. უდავოა, რომ ასეთი ფაქტები უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე. ტურიზმი იქით იყოს და არავის აქვს უფლება მცირეწლოვან ბავშვებს პირუტყვებივით მოეპყრას...

**ილია მარტყოფლიშვილი.**



**ეს იყო, იყო...**

# „გულაგი“ სოციალიზმს

აღნიშნული იყო: „...არხის მშენებლობის პროცესის დროს, შრომა-გასწორების საბჭოური პოლიტიკის სწორად გატარების საფუძველზე, ბანაკების მთავარმა სამმართველომ გასწია დიდი პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა პატიმართა შორის, რომლებმაც მიიღეს შრომითი ჩვევები და კვალიფიკაცია“... რომელ კვალიფიკაციაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც მუშაობა მხოლოდ ხელით სრულდებოდა — ბარებით, ნიჩბებით, წერაქვებით, ძალაყინებით, ჯალამბრებით და ა. შ.

არხის მშენებლობის ხარისხიანად და რეკორდულ დროში დამთავრებისთვის იქ მომუშავე პატიმართა ნახევარზე მეტი, „დამკვრელურ შრომაში“ თავის გამორჩენისთვის, პირობითად ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, ხოლო დანარჩენები სხვადასხვანაირად წაახალისეს, თვით გულაგის შეფი ბერმანი კი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

შედარებისთვის აღვნიშნავ, რომ 80 კმ. სიგრძის პანამის არხის მშენებლობა 28 წელიწადს მიმდინარეობდა, ხოლო 160 კმ. სიგრძის სუეცის არხის მშენებლობას 10 წელიწადი დასჭირდა.

აი, რას წერდა „გულაგის“ შესახებ მაქსიმ გორკი: „...50 წლის შემდეგ, როცა ცხოვრება რამდენადმე დაცხრება და მეოცე საუკუნის ბოლოს მისი პირველი ნახევარი პროლეტარიატის ეპოსად და შესანიშნავ ტრაგედიად მოეჩვენებათ, ალბათ, მაშინ ჩვენი ლიტერატურა და ისტორია ღირსეულად გააშუქებენ კოლონიებში რიგითი ჩეკისტების კულტურულ მუშაობას“... თუ როგორ ახდა მაქსიმ გორკის წინასწარმეტყველება, მკითხველთათვის მიგვინდვია...

გულაგი აშენებდა მოსკოვი-ვოლგის არხს, მაგრამ იქ უკვე



გამეფებული იყო დაძაბულობა, მშენებლობა დიდი ციებცხელებით მიმდინარეობდა და ენთუზიაზმით არ გამოირჩეოდა. 1935 წლის დეკემბერში დაწყებული მშენებლობა ორი წლის შემდეგ დამთავრდა.

1936 წლის თებერვალში იაგოდამ ხელი მოაწერა განკარგულებას მოსკოვი-მინსკის და მოსკოვი-კიევის ავტომაგისტრალების მშენებლობის დაწყების შესახებ. პირველი ავტომაგისტრალის მშენებლობა იმავე წელს დამთავრდა, ხოლო მეორე 1937 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ორივე ავტომაგისტრალის მშენებლობა ძალზე შემჭიდროვებულ, მოკლე ვადებში მიმდინარეობდა, მაგრამ გულაგის უფროსმა მატვეი ბერმანმა ხელისუფლების დავალება კვლავ წარმატებით შეასრულა, რისთვისაც ის თანამდებობრივად დააწინაურეს — საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ნიკოლოზ ეჟოვის ერთ-ერთ მოადგილედ დანიშნეს...

1938 წლის 24 დეკემბერს მ. ბერმანი დააპატიმრეს და დახვრიტეს. მისი დაპატიმრების ორდერს ხელი მოაწერა ახლადდანიშნულმა საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ. სულ მალე ნ. ეჟოვმაც იგივე ბედი გაიზიარა და საიქიოს გზას გაუდგა.

პატიმართა ხელითაა აშენებული ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში სრულიად ახალი ქალაქები: მაგადანი, ნორილსკი, ტიუმენი, ურენგოი და ა. შ. პატიმრებმა ააშენეს გიგანტური ელექტროსადგურები, კოლიმის ოქროსა და ყარაგანდის ქვანახშირის მაღაროები, ჯეზკაზგანის სპილენძის მაღაროები, მრავალი რკინიგზის ხაზები, აეროპორტები, საცხოვრებელი სახლები...

მწერალი კონსტანტინე სიმონოვი თავის წიგნში — „ჩემი თაობის ადამიანის თვალით“ წერს: „...ბერიას დროს გამოშვებული იქნა იმ სამხედროთა მეოთხედი, რომლებიც ეჟოვის მიერ იყვნენ დაპატიმრებულნი“. აქვე დავუმატებ, რომ მათ შორის იყვნენ მომავალი მარშლები კ. როკოსოვსკი და კ. მერეცკოვი, იმავდროულად გულაგის ბანაკებიდან გაათავისუფლეს 327 400 პატიმარი.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინ საბჭოთა კავშირში პატიმართა რაოდენობა დაახლოებით 2,3 მილიონს შეადგენდა. გაითვალისწინა რა ომის დაწყების შედეგად შექმნილი ძალზე საშიში მდგომარეობა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 12 ივლისის და 24 ნოემბრის შესაბამისი ბრძანებულებების საფუძველზე საკავშირო შინსახკომის და პროკურატურის მიერ საპატიმრო ადგილებიდან გაათავისუფლეს 600 ათასზე მეტი კაცი.

სამამულო ომის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობის დროს და დამთავრების შემდეგ საქართველოში რამდენიმე შრომა-გასწორების კოლონია ფუნქციონირებდა. პატიმრების აშენებულია თითქმის ყველა სამრეწველო დანიშნულების ობიექტები, გზები, ხიდები, საცხოვრებელი სახლები, თბილისის საავიაციო და ელმავალმშენებელი, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, მტკვრის სანაპიროები, თბილისის ცირკი და ა. შ.

საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის მანძილზე რამდენჯერაც შეიცვალა სახელმწიფოს მეთაური, იმდენჯერ განახლდა პატიმართა შენახვის, ადგილების კონცენტრაციისა და მათი საქმიანობის მაკოორდინებელი სახელმწიფო აპარატის სახელწოდება. ამ აპარატს ლენინის დროს საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო ეწოდებოდა, სტალინის დროს — ბანაკების მთავარი სამმართველო, ხრუშჩოვმა აღადგინა ლენინისდროინდელი დასახელება, ბრეჟნევმა უფრო დააკონკრეტა კარლ მარქსის გამონათქვამი, რომ „შრომამ უნდა გამოასწოროს ადამიანი“ და დაამკვიდრა სრულიად ახალი სახელწოდება — შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამმართველო, ხოლო ამჟამად მას ეწოდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. **აქვე დავუმატებთ, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პატიმრები არ მუშაობენ და მათი შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. არადა, ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენთან პატიმართა რაოდენობამ 20 ათასს მიაღწია.**

**გურამ ჩხიკვაძე**

# მამულიშვილი

● რ. ჩაგელიშვილი დღესაც ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, როგორც საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ბუნების დაცვისა და მეტყევეობის კათედრის პროფესორი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი თავის მდიდარ გამოცდილებას წარმატებით გადასცემს მომავალ თაობას



◎ რევაზ ჩაგელიშვილი – 70

## ჩვენი ტყეების ქომაგი

ცნობილ ქართველ მოღვაწეს და მეცნიერს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ რევაზ ჩაგელიშვილს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

დაიბადა 1937 წელს მთიანი რაჭის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ჭიორაში. ამ მაღალმთიან სოფელში ის პირველად ეზიარა მშობლიური ბუნების გამორჩეულ მშვენიერებას და ეს სიყვარული გარემოსადმი მას მთელი თავისი ცხოვრების გზაზე გაჰყვა. 1956 წელს რ. ჩაგელიშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს წარჩინებით – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი.

1962 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ტყის ინსტიტუტში, სადაც განვლო სახელოვანი გზა ლაბორანტიდან ლაბორატორიის გამგემდე.

რ. ჩაგელიშვილის მეცნიერული კვლევის ძირითადი სფეროა მთის ტყეების ეკოლოგიური ფუნქციების (ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, წყალშენახვითი, თოვლის ზვავების საწინააღმდეგო და სხვ.)ძ შესწავლა. ეს კვლევები ტარდებოდა აკად. ვასილ გულისაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ მიმართულებით რ. ჩაგელიშვილისა და სხვა ქართველი მკვლევარების გამოკვლევების შედეგები საფუძვლად დაედო მთის ტყეებში ჭრის სისტემების დადგენას და მერქნით სარგებლობის ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრას.

აღსანიშნავია, რომ 1966 წლამდე საქართველოს მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების შესწავლა უმეტესად ხორციელდებოდა ტყის ნიადაგების ძირითადი ფიზიკური თვისებების შესწავლის საფუძველზე. 1967 წლიდან რ. ჩაგელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების ღრმა მეცნიერულ დონეზე შესწავლის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ბორჯომის ხეობა, შიდა ქართლი, აჭარა)ძ საფუძველი ეყრება ჰიდროკლიმატოლოგიური სტაციონარების მშენებლობას. ამ სტაციონარებზე ისწავლებოდა ეროზიული პროცესები ტყიანობის პროცენტსა და რეგიონის ფონურ დატენიანებასთან დაკავშირებით. სტაციონარებზე ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილი იქნა ნიადაგების ფიზიკური და წყალმართავი თვისებები, დაცვითი ფუნქციების განმსაზღვრელი კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლები, ჭრის სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც მთის ტყეებში მეცნიერულად დასაბუთებული მეურნეობის წარმოების ქვაკუთხედად იქცა.

რ. ჩაგელიშვილის მიერ სისტემური მიდგომის საფუძველზე თეორიულად იქნა დამუშავებული და პრაქტიკულად განხორციელებული თოვლის ზვავების წარმოშობისა და ვარდნის წინააღმდეგ ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო, სატყეო-სამეურნეო და მარტივ ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი. გამოკვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიაში, რისთვისაც რ. ჩაგელიშვილს 1984 წელს აკადემიკოს თ. დავითაიას სახელობის პრემია მიენიჭა. რ. ჩაგელიშვილის მიერ დამუშავებული ტყის ჰიდროლოგიური, ფიტოცენოლოგიური, გეომორფოლოგიური კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოს მთის ტყეებში მეურნეობის გაძღოლის პრინციპების ჩამოყალიბებას; აისახა სატყეო მეურნეობის განვითარებასა და ტყის რესურსების ათვისების 1976-1990 წლების გენერალურ სქემაში და ტყის ჭრის წესებში.

რ. ჩაგელიშვილის მიერ განხორციელებული სტაციონარული კვლევის შედეგები გახდა საფუძველი ცნობილი დებულების – „ტყე გეოგრაფიული მოვლენაა“ პრაქტიკული დადასტურების.

1968 წელს რ. ჩაგელიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1985 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა კრასნოიარსკში, ვ. სუკაჩოვის ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტყისა და მერქნის ინსტიტუტში. რ. ჩაგელიშვილი მეტყევეობის, ტყეთმცოდნეობის, სატყეო ჰიდროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საკავშირო მნიშვნელობის თემებს სატყეო მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე. 10 წლის განმავლობაში მთის ტყეების ეკოლოგიური ფუნქციების შესწავლის მიზნით ავსტრიის დედაქალაქ ვენის სატყეო ფედერალური ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად ეწეოდა ერთობლივ კვლევებს.

1980 წლიდან რევაზ ჩაგელიშვილი რუს მეცნიერებთან ერთად ახორციელებდა განსაკუთრებით მყიფე და ადვილად მსხვრევადი მთიანი რეგიონების (კავკასიის მთიანეთი, სიხოტე ალინი, საიანები, ტიან-შანი, კამჩატკა, ბაიკალი)ძ ტყის ცენოზების, მათი ეკოლოგიური ფუნქციების შესწავლას და ამუშავებდა რეკომენდაციებს ამ რეგიონებში ტყის მეურნეობის გაძღოლის საკითხებზე.

რ. ჩაგელიშვილი დღესაც ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, როგორც საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ბუნების დაცვისა და მეტყევეობის კათედრის პროფესორი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი თავის მდიდარ გამოცდილებას წარმატებით გადასცემს მომავალ თაობას.

ქვეყნის ფართო საზოგადოებისათვის რ. ჩაგელიშვილი ცნობილია როგორც ბუნების აქტიური ქომაგი, მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი გარემოდაცვითი სამეცნიერო ექსპედიციების, კონფერენციების, სემინარების მოწყობაც.

1991 წლიდან 2004 წლამდე იგი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილეა და ხელმძღვანელობდა გარემოსდაცვით მეცნიერებას, დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად დაუღალავად იღვწოდა სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის განსამტკიცებლად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კონსერვაციისათვის.

რ. ჩაგელიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის აღიარება იყო მისი არჩევა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის ნამდვილ წევრად. რ. ჩაგელიშვილი გამოირჩევა საოცარი ადამიანური თვისებებით. კეთილმოსურნეობა, პრინციპულობა, ყურადღება, მაღალი შინაგანი კულტურა და სხვა განაპირობებენ ჩვენი საზოგადოების მისდამი განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას. იგი შესანიშნავი ოჯახის პატრონია, ჰყავს სათნო, კეთილმოსურნე მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

თავის ღირსეულ იუბილეს საქართველოს დამსახურებული მეტყევე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი, პროფესორი რევაზ ჩაგელიშვილი ხვდება მომავალს შემართებით, სიმხნევითა და რწმენით. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**გიორგი გიგაური,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი აკადემიკოსი;
**თენგიზ ურუშაძე,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
**თენგიზ ჯაფარიძე,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ ინფორმაცია

### დღეიდან უკრაინაში აწყობილი იაპონური ავტობუსებით ვივლით

დედაქალაქს იაპონური ფირმა „ისუზუს“ 90 ახალი ავტობუსები შეემატა.

რიყეზე გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ავტობუსების პრეზენტაცია გამართა.

პრეზენტაციას მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ბესო ქლენტი და სხვა პირები ესწრებოდნენ.

გიგი უგულავამ მძღოლების ვაკანსიების შესახებაც ისაუბრა და კონკურსში მონაწილეობისკენ ქალებსაც მოუწოდა.

როგორც შპს „თბილისის ავტობუსის“ გენერალურმა დირექტორმა ბესიკ ნათენაძემ განაცხადა, მერიის მიერ შეძენილი ავტობუსები მათ გადაეცემათ, როგორც დედაქალაქის მერიის მიერ დაფუძნებულ შპს-ს.

ამასთან, ახალი ავტობუსები თბილისის ყველა უბანზე თანაბრად გადანაწილდება.

ავტობუსები უკრაინაში, იაპონური ფირმა „ისუზუს“ ბაზაზე არის აწყობილი და ქართულმა მხარემ ფირმა „უკრაინსკი ავტობუსისგან“ შეიძინა.

### წამლის სააგენტოს კომისიამ აფთიაქები შეამოწმა



ჯანდაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს კომისიამ აფთიაქები შეამოწმა.

არსებული ინფორმაციით, შპს „სათანჯოს“ აფთიაქებში 112 დასახელების ვადაგასული მედიკამენტი აღმოაჩინეს.

შემოწმდა შპს „დავითის“ აფთიაქი. შენახვის პირობების დარღვევით აფთიაქში 35 დასახელების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალება ინახებოდა.

წამლის სააგენტოს ხელმძღვანელობამ შემოწმების გაგრძელების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

### დაიწყო სიების კარდაკარ გადამოწმება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო სიების კარდაკარ გადამოწმება დაიწყო.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალმა თავმჯდომარემ ლევან თარხნიშვილმა განაცხადა, გადამოწმების პროცესი 16 დღეს გაგრძელდება, თუმცა მთლიანად ახალი ინფორმაციის შეტანასა და გადამოწმებას ორი თვე დასჭირდება.



მისივე თქმით, მთლიანად გადამოწმდება ქვეყანაში არსებული 74 ოლქისა და 3 ათასი საარჩევნო უბნის სიები. დღეისთვის კი 3 მილიონ 349 ათასზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული.

თარხნიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ შემოწმების შედეგად სიები მაქსიმალურად ზუსტი იქნება, რაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ეფექტურად, გამჭვირვალედ ჩატარების საშუალებას მისცემს.

### თურქ-აფხაზებს „სილა გააწნეს“

„აფხაზეთთან სოლიდარობის თურქეთის კომიტეტი“ თურქეთში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ვიზიტის ჩაშლას აპროტესტებს. ამის შესახებ აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აფსნი პრესი“ იუწყება.

კომიტეტის ხელმძღვანელის ირფან არგუნისა და მისი მოადგილის ინალ ჯიგუს აზრით, თურქეთში ბაღაფშის შესვლის აკრძალვა კომიტეტის თითოეული წევრისთვის „სილის გარტყმის ტოლფასია“.

– პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშთან და აფხაზურ დელეგაციასთან შეხვედრა ხანდაკის რაიონში 20 ოქტომბერს უნდა გამართულიყო. სამომავლოდ კი, ამგვარი შეხვედრა უფრო ხალხმრავალი და ღირებული იქნება. ჩვენს წყენას საზღვარი არ აქვს, – ნათქვამია კომიტეტის განცხადებაში.

სერგეი ბაღაფშის ვიზიტი თურქეთში სწორედ ამ კომიტეტის ინიციატივა იყო. შესაბამისი განცხადებით კომიტეტმა თურქეთის ხელისუფლებას მიმართა. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ თურქეთის ხელისუფლების მიერ მხოლოდ ქართული მხარის პოზიციის გათვალისწინება უსამართლობაა.

თურქეთში მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა ცხოვრობს. აფხაზური მხარის მონაცემებით, მათი რაოდენობა 500 ათასს აღწევს.

ინტერპრესნიუსი

**რეალური იყო გასულ წელს სამხრეთ ოსეთში შეჭრის მუქარა, როცა ქართველმა სამხედროებმა შეიმუშავეს ცხინვალის დაპყრობისა და ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ძირითადი ობიექტების დაკავებისათვის გათვალისწინებული გეგმა „ვეფხვის ნახტომის“ სახელით**



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# დაზვერვა ბრძოლით

**რუსეთის სამხედრო უწყება არ გამორიცხავს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში საომარი მოქმედების განახლების ალბათობას.**

როგორც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ თქვა, იმის დადასტურება, რომ საქართველომ შესაძლოა აირჩიოს ძალის გამოყენების ვარიანტი, არის მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები, რომლებშიც იგი იმუქრებოდა, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ პრობლემებს მოაგვარებდა პრეზიდენტის პოსტზე მის მეორედ არჩევამდე.

ეს პირველი საგანგაშო სიგნალი როდია, რომელიც მოდის საქართველოდან თბილისის სამხედრო მზადებასთან დაკავშირებით. ყველაზე რეალური იყო გასულ წელს სამხრეთ ოსეთში შეჭრის მუქარა, როცა ქართველმა სამხედროებმა შეიმუშავეს ცხინვალის დაპყრობისა და ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ძირითადი ობიექტების დაკავებისათვის გათვალისწინებული გეგმა „ვეფხვის ნახტომის“ სახელით.

ის, რომ ქართველი სამხედროები მაშინ მხოლოდ ბრძანებას ელოდებოდნენ, დაადასტურა ამ ცოტა ხნის წინანდელ გამოსვლაში ამჟამად უკვე ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. მაშინ აგრესიის აღკვეთა მოხერხდა მხოლოდ რუსეთის პრინციპული პოზიციის წყალობით. მაგრამ დიპლომატიურ ნოტებზე უფრო მკვეთრი აღმოჩნდა სხვა სახის არგუმენტები – რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის სამხედრო წვრთნა. ამერიკელთა სათვალთვალო თანამგზავრებმა დააფიქსირეს, რომ რუსებმა სამხედრო კოლონები გადაიყვანეს როკის გვირაბთან, რამაც დააცხრო ქართველ ომისმოტრფიალეთა ჟინი.



როგორც ჩანს, სიტუაცია ამ დღეებში კვლავ გამწვავდება, თანაც, ორივე კონფლიქტურ ზონაში. დამოუკიდებელმა სამხედრო ექსპერტმა ზაურ ალბოროვმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით გადაიყვანა საინჟინრო ქვედანაყოფები. ცხინვალის მისადგომებთან მესანგრეები ახორციელებენ ადგილმდებარეობის დაზვერვას, უფრო სწორად კი იმ მიდამოებისა, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება ქართველთა ჯარების შეტევის დაწყება. უწინარეს ყოვლისა, მიმდინარეობს სამხრეთ ოსეთის საფორტიფიკაციო ნაგებობების, დანაღმული ტერიტორიების და სხვათა მონიტორინგი.

აფხაზეთშიც ისევ ისმის სროლის ხმა და კვლავ ილვრება სისხლი. ცნობილი გახდა 17 ოქტომბერს საღამოს საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე მომხდარი ინციდენტის დაწვრილებითი დეტალები. ქართველთა სადივერსიო ჯგუფმა კვლავ სცადა აეყვანა ტყვედ აფხაზი მესაზღვრეები, როგორც ეს მოხდა 20 სექტემბერს კოდორის ხეობაში. ამჯერად სასაზღვრო განაწესს ჩაუსაფრდნენ მდინარე ენგურის ფონის მიდამოებში, რომელიც ერთმანეთისგან გამოჰყოფს ქართულ სოფელ შამგონასა და აფხაზთა დასახლებულ პუნქტს თაგილონს. დივერსანტებს ცეცხლი გაუხსნეს: ჩვენს ხელთარსებული მონაცემებით დაჭრილია ორი კაცი, მათ შორის სადივერსიო ჯგუფის მეთაურიც. უკან დახევისას დივერსანტებმა ტყვედ ჩაიგდეს აფხაზური არმიის სამხედრო მოსამსახურე მანუჩარ არშბა, რომელიც სისხლისგან იცლებოდა და ზუგდიდის საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა.

როგორც თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ოთარ ხეციამ თქვა, ამ ინციდენტის დასრულებისთანავე ადმინისტრაციული საზღვარი აფხაზურმა მხარემ გააძლიერა ოპერატიული ჯგუფებით.

„ღამით მომხდარი ტერაქტი და 20 სექტემბრის მოვლენები ერთი ჯაჭვის შემადგენელი რგოლებია. საქართველოს სპეცსამსახურებს მიზნად აქვთ დასახული აფხაზეთში სიტუაციის გამწვავება“, – აღნიშნა ხეციამ.

რა თქმა უნდა, საქართველოში ამჯერადაც გამონახეს აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ამ რეიდის გასამართლებელი არგუმენტები. როგორც თქვეს, ქართული პოლიცია, თურმე, ცდილობდა აღეკვეთა თბილისიდან გატაცებული ავტომანქანის გადაყვანა თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მაგრამ გალის რაიონში დივერსანტების გააქტიურება სულაც არ არის შემთხვევითი, და ამიტომაც, ალბათ, შემდგომი პროვოკაციებიც არ უნდა გამოირიცხოს.

**პაველ რაზგულიაევი**

Утро.ru

# პატარკაციშვილს პრორუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებენ

**საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები კრიტიკულად მოეკიდნენ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის პუბლიკაციას, რომელშიც მან ჩამოაყალიბა, თუ როგორ ესახება შემდგომში ქვეყნის განვითარება, აგრეთვე გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებები საქართველოს წინაშე დასახული ისტორიული ამოცანებისა და მისი სტრატეგიული პრიორიტეტების თაობაზე.**

„ამ დოკუმენტზე ძნელია სერიოზულად ვილაპარაკოთ. შემიძლია მხოლოდ ეს ვთქვა: მწამს, რომ იგი თვით პატარკაციშვილმა დაწერა, რადგან ეს დოკუმენტიდანაც კარგად ჩანს. ერთადერთი, რაც მეტ-ნაკლებად საყურადღებოა, არის ამ ადამიანის მიერ გაკეთებული საინტერესო განცხადებები იმის თაობაზე, რომ რუსეთი ახლოა, და საჭიროა ბალანსის დაცვა. ეს გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. დიახ, ეს ადამიანი ცდილობდა ეთქვა, თითქოს სურს, რომ საქართველო შევიდეს ნატოში, მაგრამ მისი ჭეშმარიტი დამოკიდებულება მაინც გამომჟღავნდა, თუნდაც ბალანსის დაცვის შესახებ ნათქვამი სიტყვებიდან“, – აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა გიორგი ბოკერიამ.





„პატარკაციშვილმა უკვე კარგა ხანია გამოიჩინა თავი, როგორც ოპოზიციის რეალურმა ლიდერმა. რაც შეეხება ქვეყნის მოწყობისა და განვითარების გეგმებს, ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და იგი ამას აუცილებლად გადაწყვეტს კიდეც“, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით კირკიტაძემ.

„მთლად კარგი არ არის, როცა ადამიანი აქვეყნებს მანიფესტაციებს, როგორც ამას თავის დროზე ლენინი აკეთებდა“, – შენიშნა თავის მხრივ უმრავლესობის წარმომადგენელმა მაია ნადირაძემ.

საპარლამენტო ოპოზიცია არ ეთანხმება უმრავლესობის მოსაზრებას. „ვთქვათ და, ჩაწერა ადამიანმა მანიფესტში, რომ საქართველოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. თუ ვინმეს ელანდება აქ რაღაც შეთქმულების არსებობა, მაშინ, განმარტოს თავისი პოზიცია, რადგან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, ბადრი პატარკაციშვილი პუტინთან შესახვედრად არ ჩასულა დუშანბეში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირიქით – რუსეთის პროკურატურის მიერ იძებნება პატარკაციშვილი“, – აღნიშნა „დემოკრატიული ფრონტის“ ფრაქციის წარმომადგენელმა კახა კუკავამ.



„საქართველოს ნორმალური, ურთიერთსასარგებლო და გულახდილი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან, მათ შორის ისეთ დიდ მეზობელთანაც, როგორიც რუსეთია. ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს“, – შენიშნა „მრეწველთა“ ფრაქციის ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ.

„დოკუმენტში პატარკაციშვილმა გამოთქვა თავისი შეხედულებები, და რაც მთავარია, დააფიქსირა, რომ უარყოფს მოვლენათა რევოლუციური განვითარების კონტექსტს, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია“, – განაცხადა „მემარჯვენე ოპოზიციის“ ფრაქციის წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ.

REGNUM

# დედამიწის ზურგზე

● მაკკეინის თქმით, პუტინი კვლავ სულით-ხორცამდე „კაგებეშნიკად“ რჩება



# ჯორჯ ბუში: პუტინი მთლად გულწრფელი არ ყოფილა, როცა თავის მემკვიდრეობაზე ლაპარაკობდა

**წარუმატებლად ვცდილობ შევიტყო რუსეთის ლიდერის ვლადიმერ პუტინისგან, რის გაკეთებას აპირებს იგი 2008 წლის მარტის შემდეგ, და ვინ შეიძლება აირჩიონ მის პოსტზე, — აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.**

ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯორჯ ბუშმა აღიარა, რომ აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ავსტრალიაში ამ ცოტა ხნის წინათ გამართული სამიტის დროს სცადა დალაპარაკებოდა პუტინს მისი გეგმების შესახებ, თუმცა დასმულ კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო.

„წარმოდგენა არ მაქვს, რის გაკეთებას აპირებს იგი. ყოველმხრივ ვცდილობდი რაიმე მეთქმევინებინა პუტინისთვის, თუ ვინ იქნება მისი მემკვიდრე ამ პოსტზე და შემდგომში რის გაკეთებას აპირებს იგი, — აღნიშნა ამერიკის პრეზიდენტმა. — მაგრამ ეს კაცი თვალთმაქცობდა და ცდილობდა თავისი გეგმები ბოლომდე არ გაემხილა“.

როგორც ცნობილია, რუსეთის პრეზიდენტს არაერთხელ უთქვია, რომ აპირებს დატოვოს პოსტი 2008 წლის მარტში, როცა იწურება მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა. რუსეთის კონსტიტუცია ერთ ადამიანს უკრძალავს ზედიზედ სამი ვადით პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნას.

ამ ბოლო წლის განმავლობაში რუსი ექსპერტები ერთავად გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებას იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება გახდეს პუტინის ოფიციალური მემკვიდრე. ამასთან, ეჭვი თითქმის არავის ეპარება იმაში, რომ ასეთი კაცი გამოინახება და იგი გახდება ახალი სახელმწიფოს მეთაური.

ოქტომბრის დამდეგს პუტინმა ანალიტიკოსებს ახალი თავსატეხი გაუჩინა, როცა დათანხმდა სათავეში ჩადგომოდა პრეზიდენტის მხარდამჭერი Единная Россия პარტიის სიებს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, და არც იმის შესაძლებლობა გამოურიცხავს, რომ მუშაობა განაგრძოს რუსეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

დასავლეთში პუტინის ასეთ ნაბიჯს შეშფოთებით შეხვდნენ, რადგან, იქაურ ექსპერტთა აზრით, რუსეთი კარგავს დემოკრატიულ ცვლილებათა განხორციელების შანს და სულ უფრო მეტად უახლოვდება ტოტალიტარიზმს.

პრესკონფერენციაზე ბუშმა აღიარა, რომ მისი ურთიერთობა პუტინთან საგრძნობლად „გაცივდა“ 2001 წლის შემდეგ. მაშინ, როცა ამ ორ პრეზიდენტს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ კარგი ურთიერთობა იყო დამყარებული, ამერიკის ლიდერმა თავის რუს კოლეგაზე თქვა, რომ „ჩახედე თვალებში და მიხვდები, რომ პუტინი ძალზე სანდო პიროვნებაა. მე მას ჩავხედე სულში და დავინახე, რომ ეს კაცი თავისი ქვეყნის და რუსეთის ეროვნული ინტერესების ერთგულია“.

ოთხშაბათს რესპუბლიკური პარტიისგან შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა გამოთქვა წინადადება, რომ არ არის საჭირო პუტინის მიწვევა ეგრეთ წოდებული „დიდი რვიანის“ მომდევნო სამიტზე. ამასთან, სენატორმა აღნიშნა, რომ რუსეთი ამიერიდან ვეღარ აკმაყოფილებს მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა კლუბის პრინციპებს, რომლებიც დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებს ეფუძნება. მაკკეინის თქმით, პუტინი კვლავ სულით-ხორცამდე „კაგებეშნიკად“ რჩება.

„კარგი ნათქვამია“, — განმარტა ბუშმა თავისი თანაპარტიელი კოლეგის სიტყვები. „თუ ვილაპარაკებთ იმაზე, შეიძლება თუ არა რუსული დნმ-ს ხელახლა დაპროგრამება, რომელსაც საფუძვლად უდევს ცენტრალიზებული ხელისუფლებისკენ ლტოლვა, გულახდილად ვიტყვი, რომ ამის გაკეთება ძალზე რთული იქნება“, — აღნიშნა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

# ევროკავშირის ლიდერებმა შეათანხმეს „ხელშეკრულება რეფორმათა შესახებ“

**ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა ლიდერებმა ლისაბონის სამიტზე მთლიანად შეათანხმეს „რეფორმათა შესახებ ხელშეკრულების“ ტექსტი, — განაცხადა პორტუგალიის, ევროკავშირის ამჟამად თავმჯდომარე-ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟოზე სოკრატეშმა.**

მორიგებას მიაღწიეს გვიან ღამით, მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების მონაწილეები ბოლო მომენტში დათანხმდნენ გარკვეულ დათმობებს იტალიისა და პოლონეთის მიმართ.

საქმე ეხება ევროკავშირის წევრ 27 ქვეყანას შორის ხელშეკრულების დადებას, რომელიც შეცვლის 2005 წლის ეროვნული რეფერენდუმების დროს ფრანგი და ჰოლანდიელი ამომრჩევლების მიერ უარყოფილ ევროპის კონსტიტუციის პროექტს.

ახალი დოკუმენტის პროექტი ითვალისწინებს ევროკავშირის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებას (ამჟამად ამ მოვალეობას რიგ-რიგობით ასრულებენ წევრი-ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებიძ და ერთიანი საგარეო პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის უფლებამოსილებათა გაფართოებას.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად შეიზღუდოს ყოველი ქვეყნისთვის ვეტოს გამოყენების უფლება. ყველა საკითხის თაობაზე, ეს არ ეხება მხოლოდ ევროკავშირში ახალი წევრების მიღებას, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს იმ მონაწილე-სახელმწიფოთა ორი მესამედი, რომლებშიც ცხოვრობს ევროკავშირის მოსახლეობის სულ ცოტა ნახევარი მაინც.

ამ 250-ფურცლიან დოკუმენტში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი „სუპერსახელმწიფოზე“, რამაც თავის დროზე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია საფრანგეთისა და ნიდერლანდის მცხოვრებლებს შორის. მასში ასევე ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ევროკავშირის ჰიმნი და დროშა.

„რეფორმათა შესახებ ხელშეკრულება“ კი არ ცვლის ევროკავშირის ფარგლებში უკვე არსებულ შეთანხმებებს, არამედ შეაქვს მათში დამატებები, ამიტომაც, მის მისაღებად არ არის საჭირო ეროვნული რეფერენდუმების გამართვა.

ზოგიერთ ქვეყანას სურდა შეეტანა ცვლილებები იმ ხელშეკრულების პროექტში, რომელიც წინასწარ შეათანხმეს მიმდინარე წლის ივლისში ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის სამიტზე.

იტალია ილაშქრებდა ევროპარლამენტში ადგილების ხელახალი განაწილების წინააღმდეგ, რის შედეგადაც იტალიელებს უფრო ნაკლები რაოდენობის ხმები ექნებოდათ, ვიდრე დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს.

პოლონეთს სურს მიიღოს იმის უფრო საიმედო გარანტიები, რომ ქვეყანა არ დაკარგავს ევროკავშირის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ გამოსვლის შესაძლებლობას, თუ, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილებები არ იქნება ვარშავისათვის დამაკმაყოფილებელი.

ავსტრია ცდილობს მიაღწიოს უცხოელი სტუდენტებისთვის ამჟამად არსებული კვოტების შენარჩუნებას.



# იაპონიაში სკანდალი მწიფდება

**იაპონიის თავდაცვის სამინისტრო აპირებს გამოიძიოს ინფორმაცია ერაყში ამერიკელთა სამხედრო ოპერაციის დროს იაპონური სათბობის უკანონო გამოყენების შესახებ, რომელიც უფასოდ გადასცეს ავღანეთში მოქმედ კოალიციის ძალებს. ეს ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ნობუტაკა მატიმურამ. „ჯერჯერობით გარკვეული არაფერია, — თქვა მან. — თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს მუშაობას ფაქტების დაზუსტებისთვის“.**



როგორც ცნობილია, იაპონია 2001 წლის დეკემბრიდან უფასოდ აწვდის საწვავს არაბეთის ზღვაში განლაგებულ მრავალეროვნულ ესკადრას, რომელიც მონაწილეობს ავღანეთში „თალიბანის“ რაზმების წინააღმდეგ მიმდინარე ოპერაციაში. ტოკიოში მიაჩნიათ, რომ ეს არის იაპონიის მიერ შეტანილი წვლილი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ ოპოზიციამ პარლამენტში წარმოადგინა მონაცემები, რომელთა თანახმადაც იაპონური საწვავი გამოუყენებიათ ამერიკულ ხომალდებს, კერძოდ, Kitti Hawk ავიამზიდს ერაყისთვის დარტყმების მიყენების ოპერაციაში მონაწილეობის დროს. ეს კი არის იმ კანონის აშკარა დარღვევა, რომლის საფუძველზეც იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალები ეხმარებიან მრავალეროვნულ ესკადრას არაბეთის ზღვაში.

ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ამერიკელთა მთავრობა იცავს ტოკიოსთან მიღწეულ მორიგებას, კერძოდ, სათბობს იყენებს მხოლოდ ავღანეთში მიმდინარე ოპერაციისთვის. მაგრამ დოკუმენტში ისიც არის ხაზგასმული, რომ ძალზე რთულია ბოლომდე გაადევნონ თვალყური ამ საწვავის მოხმარებას. ამან შესაძლოა გაამწვაოს დებატები იაპონიის პარლამენტში, რომელშიც ოპოზიცია კატეგორიულად მოითხოვს არაბეთის ზღვაში მრავალეროვნული დაჯგუფების საწვავით უზრუნველყოფის შეწყვეტას, იმიზეზებს რა იმას, რომ დაჯგუფების მოქმედება არ არის სანქცირებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.

# ავღანეთში ტერორისტი-კამიკაძეების 80 პროცენტზე მეტი საზღვარგარეთიდან ჩადის

**ასეთი განცხადება გააკეთა შეერთებული შტატებში ვიზიტად ყოფნის დროს ავღანეთის თავდაცვის მინისტრმა აბდულ რაჰიმ ვარდაქმა.**

უცხოელ დაქირავებულთა ასეთი დიდი რაოდენობა ავღანელმა მინისტრმა ახსნა იმით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ სურს მოთარეშეებთან თანამშრომლობა. გარდა ამისა, — თქვა შემდეგ აბდულ რაჰიმ ვარდაქმა, — მეზობელი პაკისტანის ხელისუფლება სერიოზულად იბრძვის თავის ტერიტორიაზე ტერორისტთა ქსელების ლიკვიდაციისთვის, რაც ბოროტგანმზრახველებს აიძულებთ ავღანეთის საზღვრის გადაკვეთას.

რაც შეეხება მოთარეშეთა ეროვნულ კუთვნილებას, მინისტრის თქმით, ეს ხალხი, როგორც წესი, ჩამოდიან ჩრდილოეთი აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიის ქვეყნებიდან, აგრეთვე პაკისტანიდან.

№ 202. შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

● ახალი სკოლის სააქტო დარბაზში წარმოდგენილმა პოეზიის სპექტაკლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა


ამ სახლში ცხოვრობდა სამი პოეტი — კაპიტონ, ზაურ, ლაშა გახარიები

◎ მუზა

# უფლის და კაცის ბალადა — ერთი კალათა სოფელი



**ლუგელასავით მოღელავს თაფლი მუხურში. თაფლობისთვეა, თაფლობის დღესასწაული. სამეგრელოს მთებში მიყუჟულ ამ პატარა სოფელს მუხურის ფუტკარმა გაუთქვა მსოფლიოში სახელი. „ჩვენთან, ბაბასკუა, თეთრი თაფლი აკაციამ იცის, ტკბილია და თხელი; თუ მუქია — წაბლისაა, მომწარო, მარგებელი ძალიან. ყვავილის თაფლიცაა“ — მიხსნის მოხუცი კოლხი და სამგვარი თაფლის დაგემოვნებასაც მაძალებს. იქვე ხილის არაყთან ერთად თაფლის არაყიცა აქვს გულაბ მსხალს მისატანებელი. მოკლედ, ბარაქიანი შემოდგომაა მუხურში. რატომღაც, ამ კოლხის სიტყვები მომყვება თბილისამდე, უკანდაბრუნებულს.**

ჩვენი კოლეგის, უნიჭიერესი ჟურნალისტისა და პოეტის, ამქვეყნიდან ნაადრევად წასული ძმის პატივმიგების დღეობიდან ვბრუნდებით მისი კაცობის, ლექსის, საბაქართულის თაყვანისმცემლები, მეგობრები და უახლოესი ადამიანები.

რად ამესიტყვააზრა მუხურული თაფლ-ფიჟა, ალბათ იმიტომ, რომ ლაშა გახარიას ლექსებიც იმ კუთხე-თაფლნაზიარებია, მარგებელი, ტკბილქართული, კოლხური, სევდიანი, მომფერებელ-მოსაფერებელ-გასათავისებელი, მომწარო საკუთარი სევდითა და ნაღველით, ტკბილი—სიყვარულნაზავი და ათასგვარი ყვავილისაგან (საქართველოს ყველა კუთხისაგანძ ამონაწური, რათა ყველა ქართველმა დააგემოვნოს, გაითავისოს და გაისულგულოს.

სამოცი წლისა გამხდარა ლაშა გახარია. ცრემლს, ადრეწასული პოეტის იქ არყოფნისა გამო თვალთაგან წამოსულს, სიხარულის ცრემლიც ერთვოდა.

მის ოდაბადეს ვეწვიეთ.

„აქ კაცმა ლექსი რომ არ დაწეროს ქვეყნის ღალატიაო“ — ბოზოქრობს ლუგელას ხეობიდან ჩანჩქერში გაგრილებული ლაშას ძმადნაფიცი ერეკლე საღლიანი.

თავისი განუმეორებელი, სვანური კილონარევი ბუხუნით ლაშას ლექსებს კითხულობს მირანო ფალიანი და ეამაყება, რომ იმ დღისით გახსნილ პოეტის სახლ-მუზეუმში, მამაპაპისეულ ოდაში ლაშასა და წინაპრების სურათებს შორის მისი ნახატებიცაა, ადრეწასული ძმის სევდანარევი სახის ზუსტი ასლები.

ნოსტალგიამორეული თვალებითა და სიხარულით შეჰყურებენ მოხუცი მუხურელები ჩვენს ჩოხოსნებს ბატონ ანზორ ბაბუხადიასა და ზაალ სიხარულიძეს. ის წარსული აგონდებათ თავადაც რომ შვენოდათ ჩოხა-ახალუხი, მოსავადებული ქამარ-ხანჯალი.

შორს, სვანეთის მთებს გაჰყურებენ ბატონი რეზო მიშველაძე, ჯანრი კაშია, ვალერი ასათიანი, რევაზ ძნელაძე, სტუმართაგან ყველაზე ადრე ჩამოსული ლევან ღვინჯილია...

ლაშას მშობლიური სკოლის დარბაზი და ეზო ხალხს ვერ იტევს.

ახალი სკოლის სააქტო დარბაზში წარმოდგენილმა პოეზიის სპექტაკლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ლაშას პოეზიას მასპინძლობენ ქალბატონები ლია ნაროუშვილი და მარინა თექთუმანიძე — ჩინებული პოეტები და პუბლიცისტები, რედაქტორ-გამომცემლები.

ამ მეგრულ ოდაში გაიზარდნენ პოეტები ლაშა გახარია, მისი (მასავით ადრე ამ ქვეყანა- დატოვებული ძმაძ ზაურ გახარია და მათი მრავალჭირგადანახადი მამა, პოეტური სულის კაცი კაპიტონ გახარია.

ყველა ქართველი პოეტიაო — უთქვამთ საქართველოში, მაგრამ აქაურმა ბუნებამ ისეთი მადლი დააფინ-მომადლა კოლხებს, რომ თამამად შეიძლება ითქვას — ყველა მუხურელი პოეტია!

მართლაც დიდებულ პოეტს შეეძლო ამგვარი ლამაზი დღეების, (რომლებიც უკვე ყოველწლიურად გაიმართება მუხურში), მოწყობა ღვინობისთვეში რომ ვიხილეთ და გავითავისეთ.

— აწი ლაშა იქნება თქვენი მასპინძელიო — სიხარულის ცრემლს ვერ იკავებს პოეტის მეუღლე როზა ბერიკაშვილი და ძმა ელგუჯა გახარია, — ლაშას სახლის კარი, ლაშას ოდაბადე ყველასათვის ღიააო.

ცრემლისა და ლექსის სადღეგრძელოს სვამს ლაშას თანაკურსელი სპარტაკ ქობულია...

ლუგელას ხეობაში პატარა უსახელო მდინარე, იმ ლამაზი დღიდან ლაშარულად მონათლული, სანამ არ დაშრება, სანამდისაც ლაშაობის დღესასწაულის მადლი და ხიბლი არ მოიშლება საქართველოს ამ ლამაზ კუთხეში, მანამდე პოეტის გარდაცვალება ვინა სთქვა...

ლაშა უკვე ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ ლაურეატიცაა (სიკვდილის შემდეგძ...


მდინარე ლაშარულა ლუგელას ხეობაში

**გაშუაღამდა. მუხერელები ყველა ოჯახში ზეიმობენ ლაშაობას, კოლხური ამოუწურავი სტუმარმასპინძლობით ექნელებათ ჩვენთან განშორება. გოგის ტოლა მთვარე გადმოჰყურებს ხეობას. აქამომდის გარინდებული ხობისწყალი, მოზეიმეთასტუმარ-მასპინძელთა მოფერება-ლექსაობას რომ ითმენდა, ახლა თვითონ „ლაშარულობს“. იძინებს სოფელი, გამთენიისას კოხტადმოვლილ ეზოებში უნდა გამოეფინონ, რათა მომავალ ლაშაობამდე კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობონ...**

**მამუკა ვაშაკიძე**

თბილისი-ჩხოროწყუ-მუხური-თბილისი

# მ უ ხ უ რ ი

ხემარდიანიშჲ ნანათა,
მუხებით გადამუხლული,
მთაზე მიწნული კალათა —
ჩემი ლახარა მუხური.

ქუხნაზე კვამლი — ყვავილით.
გზა — გაწელილი წურბელი.
დილიდან ამოყვანილი —
ჭყინტი ყველივით ღრუბელი.

ბაგეკარკალა ორკოლი.
წყარო კლდე-ძვლებში გამძვრალი.
ცირა — თვალჭიაკოკონა...
ბროწეულების ხანძარი!

ხეზე ამძვრალი კაჭიჭი,
ოჩოფეხება ბეღლები.
ჭალაკი — ჭინკას პაჭიჭი.
დევინაღველა ლეღვები.

ხოშწყარი — ნაცხა სათვალით.
ღარზე წისქვილის ხველება.
ხირკე — ლაგვანში ჩამთვრალი...
გრძელ ღამის ჩაღღეგრძელება!

კაცები — შუბლზე მაღლები!
ხატითვალება ქალები.
გაშლაყიანი მაყრები —
მათრახიანად მთვრალები...

ჭიშკრები — შუბლზე ნალებით.
ფაცხა — ჯარგვალზე მიფსკვნილი.
ჭყინტადშეჭმული ყანებით
გაწბილებული წისქვილი.

გახარებული ყეფური —
მეთაქვის თავსასთუმლობით,
ძაღლიან აცეკვებული
ოჯახი — მოყვრის სტუმრობით!

ოხუნჯობენ და პურობენ,
აბედს სინჯავენ კვესებით.
ფანდურზე დალეკურობენ
ვაჟა-ფშაველას ლექსები!...

ჯანსულო!... ვოისა ვარაიდა!...
გულში სულჩასაწობელი —
უფლის და კაცის ბალადა —
ერთი კალათა სოფელი.

ლაშა გახარია


შვილიშვილ საბასთან ერთად

◎ ინფორმაცია

## ქართულ-აფხაზურ ფილმს ყაზახი ინვესტორი დააფინანსებს

პირველ ქართულ-აფხაზურ ფილმს „შორეული ნაპირი“, რომლის რეჟისორი გიორგი ოვაშვილია, ყაზახი ინვესტორი საინ გაბდულიანი დააფინანსებს.

გამოცემა „ნოვი რეგიონის“ ცნობით, თანხა, ძირითადად, გახმოვანებასა და სამონტაჟო სამუშაოებზე დაიხარჯება, რომლებიც, სავარაუდოდ, გერმანიაში ჩატარდება.

ფილმში 11 წლის ბიჭის ამბავია მოთხრობილი, რომელიც თბილისში ტყვარჩელიდან ჩავიდა და შემდეგ მამასთან შესახვედრად უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ფილმი ქართულ და აფხაზურ ენებზე გახმოვანდება.

„შორეულ ნაპირში“ მთავარ როლს თედო ბექაური შეასრულებს. ფილმში ასევე მონაწილეობენ ბერდია ინწკირველი, ლერი ზარდიაშვილი, ლია აბულაძე და სოფო გვრიტიშვილი.

ამასთან, გადაღებები თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს.

საინ გაბდულიანი რამდენიმე წარმატებული ფილმის პროდიუსერია. მის მიერ დაარსებული საპროდიუსერო კომპანია „კინო“ 1989 წლიდან არსებობს.

ინტერპრესნიუსი

● იყიდები საქართველოვ,
რესპუბლიკავ ბანანის,
სულს გხდიან და
ვით ბეჭს გჭრიან,
განმკითხავიც არ არის!




◎ ინფორმაცია

## საპარლამენტო ფრაქცია პრეზენტაციას მართავს

გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ახალი საპარლამენტო ფრაქციის „ჩვენი საქართველოს“ პრეზენტაცია გაიმართა.

ფრაქციის თავმჯდომარე ვალერი გელბახიანია, მის შემადგენლობაში კი შედიან ჩხოროწყუს მაჟორიტარი ვალერი იზორია, მესტიის მაჟორიტარი ვიქტორ ჯაფარიძე, კასპის მაჟორიტარი ლევან გზირიშვილი, ქედის მაჟორიტარი არსენ მგელაძე, გურჯაანის მაჟორიტარი ნიკა კვეზერელი, აგრეთვე, გოგი წულაია, მერაბ ხურციძე, „ლეიბორისტი“ თემურ დოლოშვილი და გოჩა ჯოჯუა.

ახალი ფრაქცია ორი დღის წინათ „საერთო სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭოს“ მიერ საგურამოში გამოქვეყნებულ მანიფესტს უერთდება და ქვეყანაში არსებულ ვითარებას „პოლიტიკური სისტემის კრიზისად“ აფასებს.

– ხელისუფლების ლეგიტიმურობა დევალვაციას განიცდის. ამ პრობლემების მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ხელისუფლებამ დიალოგის უნარი დაკარგა, – განაცხადა ფრაქციის პრეზენტაციაზე ვალერი გელბახიანმა.

ამასთან, გელბახიანი ფრაქციის მთავარ პრიორიტეტად საქართველოს აგრარული სფეროს გადარჩენას და მის განვითარებას ასახელებს.

„ჩვენი საქართველოს“ ჩამოყალიბება ფრაქციის წევრებს პარლამენტარებმა ჯუმბერ პატიაშვილმა, ზურაბ ტყემალაძემ, კახა კუკავამ, ფიქრია ჩიხრაძემ, აგრეთვე, „მომავლის მთავრობის“ ლიდერმა გია მაისაშვილმა და მამუკა გიორგაძემ მიულოცეს.

## ყველაზე პატარა ბანკი ბრიტანელებმა შეისყიდეს

კომპანია „მონტე კრისტო კეპიტალ ლიმითედმა“, რომელიც აქამდე საქართველოს ეკონომიკაში სატრანსპორტო, სამშენებლო და აგროსამრეწველო ბიზნესით იყო დაინტერესებული, „ბანკი თეთრის“ საკონტროლო პაკეტი შეიძინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, ახალი ბანკი ქართულ საბანკო ბაზარზე „პირველი ბრიტანული ბანკის სახელწოდებით იქნება წარმოდგენილი.

„ბანკი თეთრი“ აქტივების მიხედვით საქართველოში ყველაზე პატარა ბანკია.

ინტერპრესნიუსი

◎ პოეტობა არ იკურნება

# ჯემალ ადამია: მე ქართველად მოვკვდე მინდა

ჯემალ ადამიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. პროფესიით იურისტია. მთელი ცხოვრება მართლმსაჯულებას ემსახურა, მაგრამ ბოლოს მაინც ლექსის ტრფიალმა სძლია და, ყოფილი პარლამენტარი, ახლა პოეზიით არის „დაავადებული“. ახლახან გამომცემლობა „ლეთამ“ ჯემალ ადამიას პოეზიის კარგა მოზრდილი კრებული გამოსცა, რომელსაც ცნობილი პოეტის ვახტანგ ხარჩილავას წინასიტყვა უძღვის.

ქვემოთ ჩვენს მკითხველს „საჭაშნიკოდ“ ვთავაზობთ ჯემალ ადამიას რამდენიმე ლექსს აღნიშნული კრებულიდან და ვახტანგ ხარჩილავას „წინასიტყვას“ (**ჯემალ ადამიას** ლექსთა კრებული – **„მე ქართველად მოვკვდე მინდა“** იყიდება წიგნის მაღაზიაში, რომელიც მდებარეობს რუსთაველის 31-შიძ.

### „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...“

... ეს ლექსები თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცის ლექსებია, უმძაფრესი ტკივილით გაჯერებული ალალ-მართალი ლექსები, რომლებშიც შეულამაზებლად, გახსნილად არის საუბარი დღევანდელობის უმწვავეს პრობლემებზე და იმ საფრთხეზე, რასაც ქართულ სულიერებას, ქართულ სახელმწიფოს გლობალიზაციის ეპოქა უქადის.

დღეს საქართველოში შეიძლება ბევრი ფიქრობს ისე, როგორც ამ წიგნის ავტორი, ჯემალ ადამია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ვერ ბედავს ხმამაღლა თქვას ის, რასაც ფიქრობს.

ჯემალ ადამია მათ მაგივრადაც ლაპარაკობს ამ წიგნში, ლაპარაკობს უშიშრად, თამამად, შეუპოვრად.

ეს წიგნი თავგანწირვისთვის მზადმყოფი კაცის მიერ დაწერილი წიგნია, რომელიც თან უნდა იახლოს იმ ქართველმა, რომელიც იმ გამოუცხადებელი ომის ბრძოლის ველზე გასასვლელად ემზადება, სადაც საქართველოს ყოფნა-არყოფნის ბედი წყდება...

ვახტანგ ხარჩილავა

### მსურს, მამულზე ლოცვად დავდნე

მსურს, მამულზე ლოცვად დავდნე,
რჯული,
სისხლი მქონდეს წმინდა...
მე ქართველად დავიბადე,
და ქართველად მოვკვდე მინდა!

### შთამომავლობა გაგვასამართლებს

მომრავლებულან ნასახლარები,
ო, თუმცა იმედს ქარიც ვერ გვიქროზს,
მთა, რომ მთა არის,
ისიც სამშობლოს
მსხვერპლად შეწირულ შვილებზე
ფიქრობს.
რატომ დავღვარეთ სისხლი ამდენი,
თუკი დავთმობდით მზიურ აფხაზეთს,
ვინ გვაპატიებს?!
გველის სასჯელი,
შთამომავლობა გაგვასამართლებს!!!

### ასომთავრული

ვუძღვნი ზურაბ ქაფიანიძესა და
თეიმურაზ მიბჩუანს

შუმერთა სიბრძნით
ნაძერწი,
ანბანი –
ასომთავრული,
ათასწლეულთა მტვერ-ნისლით
ყოფილა გადაფარული.
ღვთიური ასო ყოველი
ცით ჩამოსული მნათია,
მთვარე –
„ანით“
და
მზე,
დონით,
ქართველებს მოუნათლიათ...
ხვალ საიდუმლო
შუმერთა
სამყაროს შეაზანზარებს:
ქვესკნელს დატოვებს,
ამოვა,
მკვდრეთით აღსდგება „ლაზარე“.

* * *

ღამე მიდის – ილევა...
ბინდი თანთან თეთრდება,
მოვარდისფრო ფერი თეთრს
უერთდება – თენდება.
მღვიძავს – ტირის ფიქრები...
ლამის სისხლი თეთრდება...
ფიქრით აფხაზეთში ვარ,
იქაც ახლა თენდება...
ვიღაც მღვდელი ლაზარე,
ძველ ტაძარში ლოცულობს...
სევდიანი ვარდები
მოფერებას თხოულობს.

* * *

შავო ბედო, გულს რომ მიჭამ,
ეს რამდენი წელია...
ნაადრევად ჩემი მოკვლა
შენი განაჩენია.
მეც დუელში გიწვევ,
მორჩა...
სხვა გზა არ დამრჩენია...

* * *

მიწას, ყველაფერს ყიდიან,
თანამდებობის პირები,
თავი ჭკვიანი ჰგონიათ,
ჩვენ კი ვგონივართ ვირები,
რადგან ყველაფერს ვუყურებთ
გულზე ხელდაკრეფილები.

* * *

ზამთრის ღამეა,
ვერ ვხედავ მთვარეს
და მაინც შენი ნახვა მომინდა...
ფიფქები ისე
ხვდებიან თვალებს,
თითქოს ნასროლნი,
იყვნენ თოფიდან...

### მაიკო ორბელიანს

როგორ დაიპყარ გული პოეტის,
სულიერად რომ მიგიღო მყისვე,
შენ არ იყავი მონა მონეტის,
ცაში იმ სულით სულდგმულობ ისევ.
ცაშიც სულს მიწის ალერსით ავსებ,
ეტრფიალები მწვანე აპრილებს,
მშობლიურ ვარდებს ახსოვხარ ისევ,
ისევ ახსოვხარ მინდვრის ყვავილებს.

* * *

მთებს ნისლი შემოსევია,
ციდან ზღვად ჩამოსულები...
მზის გამოჩენას ელიან
ლოდინით დაქანცულები...
ნისლითვე გავთეთრებულვარ
მეც მზის ღიმილის ლოდინში...

* * *

ამდენი ტანჯვა მომწყინდა,
ვჭკნები, ვით მუხის ფოთოლი,
წასვლის წინ მაინც მომწყურდა
მუხთალი წუთისოფელი.

### მე და ფიქრები

სად არ ვყოფილვართ მე და ფიქრები,
ლონდონს,
ისტამბულს,
პარიზს,
ჩიკაგოს,
და ვიცით, მარად ერთად ვიქნებით,
თუნდაც წიგნადაც არ დავისტამბოთ.
ჩვენ ნეტარებას ერთად ვპოულობთ,
ვითარცა სკაში გუნდი ფუტკრების,
და შხამით სავსე ამ წუთისოფელს
თაფლით და ნექტრით ერთად
ვუტკბებით.

* * *

წლები გვთიბავს...
ბალახებს,
მთიბავები თიბავენ...
არ გვისმენენ არაფერს,
არც არაფერს გვკითხავენ,
ისე წერენ განაჩენს,
რაც სურთ, იმას გვიზამენ.

### ღამის აგონია

დიდ სიჩუმეში ვდნები, ვიწვები,
ვითარც საყდარში ცვილის სანთლები,
ვინც იცის,
როდის,
სად დავიწდები,
ბურუსში მტვრად სად გავიფანტები.
სანამ ცხოვრების გზას გავიკვალავ,
სანამ სიცოცხლის ტალღა იმღვრევა,
არავინ იცის, როგორც ნიკალას,
სად აღმომხდება გედის სიმღერა!

### მოტყუებული, მშიერი ხალხი ტაშს უკრავს თავის უბედურებას

თემიდას ოქროს სასწორის თავებს,
დაუკარგიათ წონასწორობა,
ცოდვისკენ იხრის სასწორი ერთ თავს,
ცოდვა და მადლი რომ იწონება,
ცოდვამ დათრგუნოს სიკეთე,
მადლი,
თავისუფლება, თანასწორობა!
დემოკრატია ცრუა და ყალბი.
უზენაესობს ძალმომრეობა!
დრო მეფობს!
ცეცხლზე ისხმება ნავთი...
მწვანე ენთება ყველა ცდუნებას,
მოტყუებული მშიერი ხალხი,
ტაშს უკრავს თავის უბედურებას!

### იყიდები საქართველოვ, რესპუბლიკავ ბანანის

იყიდები საქართველოვ,
რესპუბლიკავ ბანანის,
სულს გხდიან და
ვით ბეჭს გჭრიან,
განმკითხავიც არ არის!
სამარცხვლოს, აფხაზეთის
გამთხრელები სამარის
ეძებენ, რომ გაგიყიდონ
ოქროს კუბოც
თამარის!
ჰოი, ღმერთო, სამართალი
თუა ქვეყნად, სად არის?!
ჰოი, ღმერთო, ცოდვა-მადლი
თუა ქვეყნად, სად არის?!

### ვინ მოგვერევა ქართველებს

ნაცვლად ერთმანეთს ვლოცავდეთ,
ვერ ვიტანთ...
მიტომაც გაგვთელეს!
ერთმანეთს, რ ომ არ ვხოცავდეთ,
ვინ მოგვერევა ქართველებს.

### სამშობლოს

ვეტრფი,
ვლოცავ შენს სიცოცხლეს,
თავი ისე შემაყვარე,
როცა მოვკვდე, გამაცოცხლე,
გულზე მიწა დამაყარე.

● კითხულობ ლექსებს, დღიურებს, ჩანაწერებს, გაუგზავნელ წერილებს და გაოცება გიპყრობს, რა ხელმა და გულმა დასწამა ამ ქრისტიან ადამიანს ის ყველაფერი, რაც საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში ჩაუწერიათ...



## ◎ ინფორმაცია

### ფილმის ჩვენება ელექტროენერგიის გათიშვის გამო შეწყდა

სტუდია „რეპორტიორის“ ფილმის ჩვენება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტროენერგიის გათიშვის გამო შეწყდა.

ფილმის ჩვენება თსუ-ში მანამდეც ტექნიკური ხარვეზებით მიმდინარეობდა.

ამასთან, სტუდენტებმა, რომლებმაც ჟვანიას გარდაცვალების შესახებ ფიმლის ჩვენებას ესწრებოდნენ, განაცხადეს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, პასუხი გასცეს შეკითხვებს, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს.

— ვერ გაგვიგია, ეს იყო უბედური შემთხვევა, თუ ჟვანია მოკლეს. ხელისუფლებამ სიმართლე უნდა უთხრას საზოგადოებას, — აღნიშნა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

### ადიგენში ღორის ჭირმა იფეთქა

ადიგენის რაიონში ღორის ჭირი — პასტეროლოზი და წითელი ქარი ერთდროულად გავრცელდა.

რაიონის 10-მდე სოფელში ღორების მასობრივი დაცემა დაფიქსირდა. მხოლოდ თენგიზ გავაშელის ოჯახს 12 სული შინაური ცხოველი დაეხოცა.

მოსახლეობის თქმით, ღორებს აცრები დროულად ჰქონდა ჩატარებული. გარდა ამისა, მათივე ინფორმაციით, აღნიშნულ დაავადებებს მაღალი სიცხეები ახასიათებს, ღორები კი დაბალი სიცხით დაიხოცნენ.

ადიგენის ვეტერინარულ სამსახურში ირწმუნებიან, რომ რაიონში ღორის ჭირი — პასტეროლოზი და წითელი ქარია გავრცელებული.

სოფლებში სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება, მაგრამ ბოლო დროს აღნიშნულ სამსახურში კადრები შეამცირეს, რის გამოც სოფლებში მისვლა და დეზინფექციის ჩატარება დროულად ვერ ხერხდება.

არსებული ინფორმაციით, ღორის დაავადებები ადიგენში ახალციხის რაიონიდან გავრცელდა.

### ყაჩაღებმა ზუგდიდში კაცი მოკლეს

შეიარაღებული თავდამსხმელები გვიან ღამით ზუგდიდელი ჟორა კვარაცხელიას ოჯახში შეიჭრნენ. ოჯახის უფროსმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნეს.

მეზობლების განცხადებით, მათ სროლის ხმა გაიგონეს და შემთხვევის ადგილისკენ გაიქცნენ, თუმცა კვარაცხელია უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

ინტერპრესნიუსი

## ◎ ვაჰ, სოფელო!

**2006 წლის 18 აგვისტოს თბილისში, კუს ტბაზე მოხდა საზარელი მკვლელობა, რომელშიც თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტს გიორგი ალიმონაკს ბრალად ედება მორალური მხარდაჭერა. იგი გახდა ცრუ ბრალდებისა და ცილისწამების მსხვერპლი.**

# გისოსებს მიღმა მოქცეული ლამაზი სული

ახალი რომანი გამოუცია ჩვენს ლერის, უნიჭიერეს მწერალსა და მთარგმნელს ლერი ალიმონაკს — „ელიაზარის დაბრუნება“. მოგვიტანა იმ დღეს რედაქციაში, გვისახსოვრა წიგნი მეგობრებს, მივულოცეთ, მოვეფერეთ ჩვენს ნაღვლიან ძმას. რა მერომანეება, ეს კარგა ხნის წინათაა ჩაბარებული გამომცემლობაში და ახლახან გამოსცეს. ჩემი უბედურება და ტკივილი აი, ეს არისო... და საქაღალდეს მიჩვენებს. აქ ჩემი გიორგის ნაწერებია, იცი შენ, წელიწადზე მეტია გიორგი ორთაჭალის ციხეში რომ ზის და სამართალს ელოდება... წერს, თავისი სული გადმოაქვს ქაღალდზე და ამით ცოტათი იქარვებს დარდსა და წუხილს...

მათხოვე, ვნახო, დავათვალიერო-მეთქი, ვეუბნები ლერის და ისიც მიტოვებს საქაღალდეს...

გიორგი ალიმონაკი დღეს თეატრალური უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის მე-4 კურსზე უნდა იყოს, თავის მეგობრებთან ერთად უნდა დადიოდეს ლექციებზე, ეუფლებოდეს რეჟისორის პროფესიას, იმედით შეჰყურებდეს მომავალს. იგი ხომ უნივერსიტეტის პედაგოგის, შესანიშნავი მწერლისა და კინორეჟისორის მიხეილ ანთაძის ერთ-ერთი უსაყვარლესი სტუდენტი იყო...

**მიხეილ ანთაძის ნაუბარი:**

**— გიორგიმ, ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მე-11 კლასელმა, დაიწყო მაშინ ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის პირველკურსელების ლექციებზე დასწრება, როგორც თავისუფალმა მსმენელმა. შემდეგ მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდებიც და სტუდენტი გახდა... იგი სამაგალითო იყო თავისი ზრდილობით, სათნოებით, ნიჭიერებით... ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ გიორგის რაიმე განზრახული ბოროტმოქმედება ან დანაშაული ჩაედინა!..**

ჰოდა, აი, ჩემო ბატონო მიხეილ, თქვენი საყვარელი სტუდენტი, ბედისწერისა თუ რაღაც შემთხვევითობის წყალობით, უკვე წელიწადზე მეტია ციხეში ზის, უკანონო ტყვეა ამ საპატიმროსი, ბრალი ედება ბოროტ განზრახვაში მორალური თანადგომისთვის, იმ ადამიანის მიმართ შურისძიებისთვის, რომელიც ცხოვრებაში არასოდეს შეხვედრია, რომლის სახელი და გვარიც არ სმენია.

ბედის დაცინვაა, არა?!.

ზის გიორგი გისოსებს მიღმა და თავისი ფიქრები, გულისნადები, ქაღალდზე გადააქვს, აქ ძალუმად იგრძნობა მისი სულიერი მდებარეობა, თუ რით სუნთქავს ეს ახალგაზრდა კაცი ციხეში, რას ეფუძნება, რას ეყრდნობა, რა ზნეობრივ და ეთიკურ საყრდენებზე დგას იქ, სადაც სრულიად ადვილია დაგერღვეს ეს ყველაფერი.

კითხულობ ლექსებს, დღიურებს, ჩანაწერებს, გაუგზავნელ წერილებს და გაოცება გიპყრობს, რა ხელმა და გულმა დასწამა ამ ქრისტიან ადამიანს ის ყველაფერი, რაც საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში ჩაუწერიათ... ამ სტრიქონების ავტორი განა შეიძლება, რომ ვინმეს შურისმაძიებელი იყოს, ბოროტ განზრახვაში ვინმეს მხარი აუბას?!.

**„ქუდიც სხვისი მაფარია,**
**ცოდვაც სხვისი მაბარია.**
**რისთვის, ვისთვის,**
**ლაზარია?!**
**დედაჩემი სად არია,**
**სახით ჩემდა სადარია,**
**ვისთვის, რისთვის,**
**ლაზარია?!“**

დედა, რა თქმა უნდა, უპირველესად, დედა ენატრება.

**„დე, ძალიან მომენატრე, ვნატრულობ, გარეთ რო ვიყო, შენი ოთახის კართან დავიძინებდი და დავისვენებდი, დილას შენ გამაღვიძებდი, ალბათ, მე კი, როგორც ცერბერი, ისე დავიცავ შენს საძინებელ ოთახს და ვიქნები იქ სამუდამოდ. მეტს არაფერს არ ვნატრულობ. დე, მე ღმერთი მიყვარს მთელი გულით და მერე შენ, დედა. ღმერთი მყავს შემწე**



**და შენ, იმედი ჩემი, რამეთუ ჭირი მაქვს...“**

ჩანაწერებიდან ვიგებ, რომ გიორგი ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა კალათბურთით, ფეხბურთით, მოწიფულობის ასაკიდან ცხენოსნობითა და ალპინიზმით... მისი ინტერესების სფეროა „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ხალხური პოეზია, საქართველოს ისტორია, ფიროსმანის მხატვრობა, ძველი ქართული მწერლობა, ბერძნული მითოლოგია, ჰომეროსი და, საერთოდ, ელინური სამყარო, ძველი რომი, სახარება, ზოგადად თეოლოგია, ბიბლიური ლიტერატურა, მამათა ცხოვრება... კლასიკური ლიტერატურიდან ეთაყვანება შექსპირს, ვირგილიუსს, დოსტოევსკის, ბულგაკოვს, მერიმეს, აკუტაგავას, ბალზაკს, პლუტარქეს, მოპასანს... მხატვრებიდან — რემბრანტსა და ბორხესს, უყვარს თანამედროვე ამერიკული და იტალიური კინო...

არც მიკვირს — გიორგის ბუნება, ზნეობა, სულიერი სამყაროდან ამოიზარდა (როგორც გენეტიკით, ასევე ოჯახითძ, ამიტომ ის სხვაგვარი არც შეიძლება ყოფილიყო...

ხშირად თავის ლექსებსა თუ სადღიურო ჩანაწერებში გიორგი ლაპარაკობს სინანულზე, ცოდვებზე — ყველა ქრისტიანის ვალია ისე აღიქვას რელიგია, რომელსაც ის არის ზიარებული. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. ტაძარი გართობა არ არის. თუ ჭეშმარიტი აღმსარებელი ხარ, თავი ცოდვილადაც უნდა მიგაჩნდეს და სინანულის გრძნობაც უნდა გაწუხებდეს, სანთლის დანთება არ კმარა. ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანში ჩაბუდებულია პირველცოდვის მონანიების მაღალსულიერი გრძნობა, რაც საკუთარ თავში დაუნჯებით მიიღწევა. ამას მიაღწია გიორგიმ იმ ტრაგიკულ მარტოობაში, სადაც ახლა ის იმყოფება სრულიად უსამართლოდ და ეწამება.

**„იყავი ცხოვრებაში მომთმენი, გქონდეს ადამიანის შებრალების უნარი, გიყვარდეს მტერი შენი და კეთილი უყავი მათ. ანუ, ვისთანაც ცუდად ხარ, ან ნაწყენი ხარ ვინმეზე, უნდა შეურიგდე... არასდროს არ დაკარგო იმედი და რწმენა. დანარჩენი ყველაფერი ქვიშაა და მტვერი, და ყოველივე ქარია და ჩვენება“.**

**„დაკარგულია, ყველაფერია, წართმეულია, გული ჩემია. წართმეულია, თეთრი ფერია, წამებულია, გული ჩემია. გადაგლეჯილია, დატანჯულია, ყველაფერი ხომ „წართმეულია“. ჩემი თვალია მწვანე ფერია, თვალზე რულია გადაკრულია, დაკარგულია ყველაფერია, საღამო ლურჯად დაფერილია. არაფერია! არაფერია!**

შიგადაშიგ სასოწარკვეთილი ხმა ისმის ყმაწვილი კაცისა.

**„შევეწირე კაცთა**
**მოდგმას,**
**ჩემდათავად ბრალი**
**მომდგამს,**
**ვერ მოვერგე ვერც**
**ერთ მოდას,**
**გავირიყე მწარედ, ჰო და...**
**ავაშენე ტყეში ოდა**
**სახლი, კარი არა მქონდა,**
**ცეცხლში მისცეს**
**ჩემი ოდა,**
**მისი ალი ცას სწვდებოდა,**
**ვერა ძალა ვერ აქრობდა,**
**ქარი ისე მწარედ ქროდა“.**

**„...მესვრიან სამჯერ, მომხვდება მწარედ. დავისვენებ წუთისოფლის ამაოებისგან. ღმერთი იხსნის ჩემს საწყალ სულს, იმედი მაქვს, იქ მაინც მექნება შვება, თუ არა და არ ყოფილა საშველი. დედას ძალიან ეწყინება, მამა გადაირევა, სხვა ყველა მალე დაივიწყებს ყველაფერს. ერთი ორი თვე ისაუბრებენ ჩემზე, მერე მობეზრდებათ... დარჩება მარტო დედა, ღამღამობით მტირალი და ტანჯული... ძალიან დავიღალე...**

* * *

ამ საქაღალდეში კიდევ ბევრი ნააზრევია გიორგისა, აქვე გრაფიკული ჩანახატებია რელიგიურ თემაზე... ამ „ვერცხლისფერი რვეულისთვის“ რუსთველის სიტყვები წაუმძღვარებია გიორგის: „ძალა მომეც და შეწევნა, დათრგუნვად მე სატანისა“.

ამ ძალას არ წაგართმევს ღმერთი შენ, ჩემო ძმისშვილო! შენ კარგად უწყი, ღმერთი მაღალია, მართალია და, ადრე და მალე, სიმართლის სხივით გააჩახჩახებს შენს არსებას.

**ვილენ მარდალეიშვილი**

**P. S. გასულ პარასკევს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის ვანო ამირხანაშვილის მშვენიერი წერილი გიორგი ალიმონაკის — გისოსებს მიღმა მოქცეული ლამაზი სულის ბედისწერაზე, მისი ნიჭის სიკისკასეზე... ამ ნიჭიერებას იქვე მოთავსებული რამდენიმე ლექსიც ადასტურებს. აი, ერთ-ერთი, ძვირფასო მკითხველო — ნაღვლიანი, სევდიანი:**

**„გისოსებს მიღმა ხე**
**მოსჩანს,**
**შიშისფერია ფოთლები,**
**გავერცხლისფრებულ**
**ღრიჭოდან**
**შეშინებული ღრუბლები.**
**ციხის კარებთან**
**მიცოცავს**
**შეფოთლვერცხლილი**
**ფოთლები,**
**დერეფნის ბოლოს**
**ტაშს უკრავს**
**ცოდვები, მხოლოდ**
**ცოდვები.**

სიმართლე კი ნელა მოდის, ტაატით...

# სპორტი

● წლევანდელი შემოდგომა მართლაც ხელხვავიანი გამოდგა ქართული სპორტისთვის. ჯერ იყო და, ძიუდოისტებმა გაგვახარეს რიო-დე-ჟანეიროში მოპოვებული სამი მედლითა და ოლიმპიადის 5 საგზურით. კიმონოიანებს მალე მოჭიდავეებმაც აუბეს მხარი



## ◉ ორბიტაზე



### ტრიუმფალური დაბრუნება „მარაკანაზე“

**პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბრაზილიელი გულშემატკივრები თავიანთი ნაკრების თამაშს მხოლოდ ტელევიზორით უყურებდნენ, 2005 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ, როცა პენტაკამპიონებმა ბელემში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვენესუელა დაამარცხეს – 3:0, ნაკრებს შინ აღარ უთამაშია. რაც შეეხება „მარაკანას“, იქ 2000 წლიდან თავიანთი კერპები აღარ უნახავთ, სტადიონის რეკონსტრუქციის გამო.**

და აი, ლეგენდარულ არენაზე ნაკრების დაბრუნება და დუნგას, როგორც მწვრთნელის, დებიუტი ნამდვილად ტრიუმფალური გამოდგა. 85 071 მაყურებლის თვალწინ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ეკვადორის ნაკრებთან ბრაზილიელებმა არც თუ საიმედოდ დაიწყეს, როგორც ჩანს, ბურთის დიდოსტატები საკმაოდ ღელავდნენ და ვერაფერს უხერხებდნენ ეკვადორელთა დაცვას, რისთვისაც გულშემატკივართა სტვენაც კი დაიმსახურეს. მათ მხოლოდ მე-19 წუთზე მცველ მაიკონის პასით, ვაგნერ ლავის გოლის შემდეგ ამოისუნთქეს. მეორე ტაიმში კი ბრაზილიელები „გადაირივნენ“, ჯერ კაკას მიერ მძლავრად დარტყმული, შემდეგ მეტოქის მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი რონალდინიომ გაგზავნა კარში, მალე თავად კაკამ „გააწბილა“ ვიტერი, მეოთხე გოლი მას კარიდან ელანუმ 83-ე წუთზე გამოიტანა, 85-ე წუთზე კი ისევ კაკამ დაუსვა წერტილი დიდ გამარჯვებას.

### რონალდუს სატრფო საძებნი გაუხდა?

**მომხიბვლელმა ბრიტანელმა მოდელმა ჯემა ატკინსონმა, ბოლო დრომდე „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელის კრაშტიანუ რონალდუს სატრფოდ რომ ითვლებოდა, უარი თქვა მასთან შეხვედრაზე და ეს ფეხბურთის ვარსკვლავის „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალებთან ამასწინანდელი ორგიით ახსნა.**

„ძალზე ვაფასებ საკუთარ თავს, – განაცხადა ლამაზმანმა, – რათა გავაგრძელო შეხვედრები ასეთ ადამიანთან“. ამჟამად ჯემა თავის კარიერაზე უფრო ზრუნავს – ტენესში წერს სოლო ალბომებს და იღებენ ფილმის მთავარ როლში, რომლის სახელსაც რატომღაც არ ასახელებს, თანაც, ბუნებრივია, ეძებს ახალ თაყვანისმცემელს, რომელიც, მისი თქმით, უფრო თავმდაბალი იქნება, ვიდრე პორტუგალიელი ნახევარმცველი.



## ◉ ფეხბურთი

# ისევ ისინი

**ხომ გახსოვთ უახლოესი წარსულის ქართული შსს-ს უმაღლესი იერარქიული კიბე, როცა მინისტრ კახა თარგამაძის ერთ-ერთ მოადგილედ ნიკა ივანიშვილი მუშაობდა. კი მაგრამ, რამ გაგახსენათ ისინიო, იკითხავთ ალბათ. ახლავე გიპასუხებთ.**

ხუთშაბათს საქართველოში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდი დაიწყო, საიდანაც მორიგ ეტაპზე 2 საუკეთესო ნაკრები იასპარეზებს. სადებიუტო მატჩი ჰაინც ტოპმიოლერის გაწვრთნილმა მასპინძლებმა ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჰოლანდიელებთან გამართეს და 1:2 წააგეს. არადა, დასაწყისი ისეთი იყო, უკეთესს ვერ ინატრებდი კაცი – „ჯვაროსანთა“ პირველივე იერიში გიორგი ივანიშვილ-დავით თარგამაძის შედეგიანი კომბინაციით დაგვირგვინდა და ფავორიტმა ცენტრიდან განაახლა თამაში.

სამწუხაროდ, ილბლიანმა დასაწყისმა ჩვენს თანამემამულეებს დათვური სამსახური გაუწია. თუ შესვენებამდე ისინი ასე თუ ისე წარმატებით უმკლავდებოდნენ მრისხანე მეტოქეს, რაც მნიშვნელოვანწილად მეკარე კვასხვაძის დამსახურება გახლდათ, მეორე ტაიმში სტუმართა უპირატესობა თვალსაჩინო გახდა, რასაც ხელი მინდვრიდან მაისურაძის გაძევებამაც შეუწყო. „ნარინჯისფერთა“ შეტევები განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც სარბიელზე ასაკთან შედარებით ნაადრევად დავაჟკაცებული ფერადკანიანი თავდამსხმელები ჰეისტოოპი და ზეიფაკი გამოვიდნენ, ყველაფერი ლოგიკურად კი დეიონგის „დუბლით“ დასრულდა.

იმავე დღეს პირველი გამარჯვება მოიპოვა ნორვეგიის გუნდმა, რომელმაც რუსთავში ლატვიელებს სძლია – 2:0.

**დღეს მეორე ტურში ითამაშებენ:** საქართველო – ნორვეგია, ჰოლანდია – ლატვია.

## ◉ კალათბურთი

### [illegible] სპორტის სასახლეს



**ხვალ თბილისქალაქობაა. საზეიმო განწყობილებას სპორტული ღონისძიებაც შეგვიქმნისო – იფიქრეს ალბათ კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა და ეროვნული ჩემპიონატის სტარტი კვირას დანიშნეს.**

სუპერლიგის მატჩები ამიერიდან ყოველ უქმეებზე განახლებულ სპორტის სასახლეში გაიმართება. ვიმედოვნებთ, მომავალ ბატალიებს გულშემატკივარი არ მოაკლდება და ისინი საინტერესო ბრძოლების მოწმენი გახდებიან – ჯერაც სამშობლოში დარჩენილი ჩვენი წამყვანი მოთამაშეები ხომ მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდნენ მონაწილე გუნდებში.

**გთავაზობთ ხვალინდელ პროგრამას:**

**13.30 „დინამო“ – თსუ. 15.30 სუპერლიგის საზეიმო გახსნა. 16.15 „ვითა“ – „ენერჯი ინვესტი“. 18.00 „მაკაბი“ – „ავიამშენი“.**

## ◉ ოლიმპიზმი

### თოვლის პაპა - „სოჭი-2014“-ის სიმბოლო?

**ამ დღეებში ველიკი უსტიუგში დაიწყება აქცია „ხმა მივცეთ თოვლის პაპას!“**, რომლის მიზანია 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სიმბოლოს შესახებ რუსეთში გამოცხადებულ კონკურსზე თოვლის პაპის გამოსახულებისთვის მხარდაჭერა.



პირველი შედეგები 10 ნოემბრისთვის შეჯამდება.

## ◉ ძიუდო

# კვიცი – გვარზე

**ფარნაოზ ჩიკვილაძისნაირებზე თუ იტყვის კაცი – ცოტა იცოცხლა, ბევრი იცხოვრაო. და მართლაც, ფარნაოზმა ქართული ძიუდოს სადიდებლად იმდენი რამის გაკეთება მოასწრო, ბევრი რომ მთელ სიცოცხლეს მოანდომებდა.**

21 წლის ახმეტელი ყმაწვილი მაშინდელ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს და მერე დაიწყო მისი აღმასვლა მსოფლიო ტატამზე. 1964 წელს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ორი წლის შემდეგაც მსგავს წარმატებას მიაღწია, ოღონდ მძიმე წონაში. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ფარნაოზ ჩიკვილაძე მესამე ადგილზე გავიდა...



ტრადიციად იქცა სახელოვანი ფალავნის ხსოვნის ტურნირის გამართვა ახმეტაში. წლეულს კახელებმა სხვადასხვა რეგიონის ჭაბუკთა ნაკრებებს უმასპინძლეს და დიდებული სპორტული დღესასწაული აჩუქეს ძიუდოს ქომაგთ. პაექრობებში გორის №43 კომპლექსური სასპორტო სკოლის მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. მძიმე წონაში ტურნირის გამარჯვებული გახდა 14 წლის ამირან მაჭავარიანი – დიდი ფალავნის დურმიშხან ბერუაშვილის შვილიშვილი. ბრინჯაოს მედლები ნიკა გოგინაშვილმა, ლადო მუმლაძემ და კოტე კაჯილაშვილმა მოიპოვეს.

ტურნირის მთავარი პრიზი – ფარნაოზ ჩიკვილაძის თასი ახმეტელმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს.

**გურამ ვაშაკიძე.**
**გორი**

## ◉ კარატე

# საქართველოს ჰიმნი ბანკეტზეც აჟღერდა, ანუ ბარაქიანი „რთველი“ გრძელდება

**წლევანდელი შემოდგომა მართლაც ხელხვავიანი გამოდგა ქართული სპორტისთვის. ჯერ იყო და, ძიუდოისტებმა გაგვახარეს რიო-დე-ჟანეიროში მოპოვებული სამი მედლითა და ოლიმპიადის 5 საგზურით. კიმონოიანებს მალე მოჭიდავეებმაც აუბეს მხარი და, სხვა ჯილდოებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბაქოს მსოფლიო ჩემპიონატიდან ორი „ოქრო“ წამოიღეს. მონაგარი ამჯერად კარატისტებმა ამრავლეს.**

ამას წინათ ლონდონში მსოფლიო თასი გათამაშდა. საპატიო პრიზისთვის 25 ქვეყნის საუკეთესო ათლეტები იბრძოდნენ. საქართველოს კარატისტებმა (საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილიაძ ნისლიანი ალბიონის დედაქალაქშიც გაიბრწყინეს: ხუთი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“ – ასეთია ბრიტანული ნადავლი.

შესანიშნავად იასპარეზა კარატედოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ხაჯიშვილმა. კუმიტეში მან ყველას აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 18-წლიანთა შორის „კატაში“ ვერცხლის მედალი ერგო დევი ხაჯიშვილს, რომელიც წლეულს ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზეც მეორე იყო.



თექვსმეტ-ჩვიდმეტწლიანებში საუკეთესო იყო ოთარ ვადაჭკორია, ოცდაერთწლამდელებში ბექა ხმალაძემ იყოჩაღა, აბსოლუტურში კი ირაკლი ტყებუჩავას არ ჰყავდა ტოლი.

როგორც ბატონმა კახა ბასილიამ აღნიშნა, ქართველი ათლეტების შესანიშნავი გამოსვლით მოხიბლულმა მასპინძლებმა ასპარეზობის შემდეგ გამართულ ბანკეტზეც ააჟღერეს საქართველოს ჰიმნი...

საგულისხმოა, რომ ჩვენი სპორტსმენების საშემოდგომო ლაშქრობა ამით არ დამთავრებულა – მოკრივეები ჩიკაგოში იმყოფებიან მსოფლიო ჩემპიონატზე და ახლა ტყავის ხელთათმანების ოსტატებისგან ველოდებით გამარჯვებებს.

**ლექსო ცინცაძე**

● X კლასის მოსწავლეს, რომლის განმარტებითაც, ცრემლსადენი გაზის ბალონს თავდაცვის მიზნით ატარებდა, არეოზოლზე ხელი შემთხვევით დაეჭირა



## ხუმარსიტყვა

# საცოდავი ვაუჩერები

**ის იყო, ბაზრიდან გამოსულმა კახამ ნავაჭრით სავსე ცელოფანის პარკები მანქანის საბარგულში ჩააწყო და წასასვლელად მოემზადა, რომ ქუჩაში მიმავალ ძმაკაცს ჰკიდა თვალი.**

– ვა, გოგი, რა გამახარე, ბიჭო, – გამოყო თავი კახამ ვერცხლისფერი „ფოლკსვაგენიდან“, – პროდუქტები აგერა მაქვს, შინ კიდევ ახლად ჩამაჭრებული საფერავი გველოდება, წამო შევუბეროთ.

– არ გამოვა, ძმაო, თორემ, ვინ თავმკვდარი, არ დაგზარდებოდი, შტაბის სხდომაზე მაგვიანდება.

– რის შტაბი, რა შტაბი! – გაიოცა კახამ, – თუ ძმა ხარ, რომელი შტემენკო შენა მყავხარ? რო გეუბნები, მოდი დაჯექი!

– ვერა, ვერა, – გაჯიუტდა გოგია, – საქეიფოდ სად მცალია, ვერა ხედავ, ქვეყანა ელამელას არი ნაცემი.

– ასეთი რა ხდება, არ იტყვი?



– ხდება, აბა, არა ხდება? ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 2 ნოემბერს ჩვენი ნაღვაწ-ნაჯაფი მთავრობის გასაცილებლად ვემზადებით.

– მერე, მთავრობის გაცილებას, რაც უნდა დიდი დამსახურება მიუძღოდეს, ამდენი ხალხი რად უნდა?

– უნდა, ძმაო, უნდა. ამ ორ-სამ წელიწადში, რაც მათ ცხოვრებ-ქონება დააგროვეს, როგორ ფიქრობ, იმას ჩემოდნებში ჩალაგება არ უნდა?

– შენ არხეინად იყავი, არც ისეთი უქნარები არიან, თავიანთი ქონება თავადვე ვერ ჩაალაგონ.

– არა, ცოდონი არიან, თანაც მარტო ქონება ხომ არა აქვთ ჩასალაგებელი.

– აბა, კიდევ რის წაღებას აპირებენ?

– ტყუილების, მათ ხომ ტყუილებისა და ცრუპენტელა დაპირებების მთელი ინდუსტრია შექმნეს.

– თავიანთი სურვილით მიაქვთ?

– არა, იძულებით ვატანთ. ხელსაყრელი მომენტით ვისარგებლებთ და ჩემოდნებში მწვანე კუპიურებთან ერთად ტყუილის ვაუჩერებსაც ჩავულაგებთ.

– ძმებო, ნამეტანი ხომ არ ირჯებით? მახსოვს, გადამდგარ შევარდნაძეს ქონების წაღებაში არავინ მიხმარებია.

– როგორ არა, მაშინ მიშა ჩაის დალევაში მიეხმარა, ჩვენ კი დღევანდელ პრეზიდენტს საზღვარგარეთ სიმდიდრისა და ტყუილების ტრანსპორტირებაში მივეხმარებით.

– მასე, თუ წავიდა საქმე, ძმაო, მარტო ბენდუქიძის ნავაჭრის ჩალაგებას (საქართველოში გაუყიდავ რიყეზე ქვაც აღარ დატოვაძ ერთი წელი მაინც მოუნდებით.

– ეგ საკითხი უკვე მოგვარებულია, მისი უწონო პიროვნებისა და ტვირთების გადაზიდვა რკინიგზით რუსეთმა ივალდებულა.

– სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა რომ შეჩერებულია?

– არა უშავს, სატვირთოთი გადაიტანენ.

– ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ორ ნოემბრამდე რა უნდა აკეთოთ?

– საქმის მეტი რა გვაქვს. ამჟამად ქვეყნის რეგიონებში დავდივართ, ხალხს ვაგროვებთ და მთავრობის მიერ სათუთად ნაგებ შადრევნებთან მისსავე საწინააღმდეგო გამოსვლებს ვაწყობთ.

– თქვენ რა, ნამუსი სულ დაკარგეთ? მთავრობამ გზები იმიტომ კი არ გაიყვანა, რომ ოპოზიციამ იგრიალოს და პიარაქციები მოუწყოს. თუ არ გაჩერდებით, ერთ მშვენიერ დღესაც მოგხვეტავენ და სადაც ჯერარს, იქ ჩაგაყუდებენ.

– ჩაყუდებისა არ გვეშინია, ბატონო!

– ირაკლისაც ვითომ არ ეშინოდა, მაგრამ ხომ მოლღუნეს.

– კი არ მოლღუნეს, ძმაკაც, საგამოძიებო ღუმელში დუღილი მეტი მოუვიდათ და სულ სხვა კაცი ჩამოასხეს.

– როგორ კაცო, დავიჯერო, ირაკლი ირაკლი აღარ არის?

– ეგრეა, ხო ნახე, ველარც ადვოკატმა და ველარც თანაპარტიელებმა იცნეს.

– კიდევ კარგი, ბადრიც არ გადააკეთეს.

– უნდოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, უფრო სწორად, მის ულვაშებს ვერაფერი მოუხერხეს.

– ისე, რას ერჩიან, ვერ გავიგე, ეგ კაი კაცი სპორტსმენებს ფულს აძლევდა, ხომ არ ართმევდა?

– სწორედ ეგ არ მოუწონეს, თურმე ფული ჯერ მთავრობისთვის უნდა მიეცა და თუ მორჩებოდა, შემდეგ – სპორტსმენებისთვის.

– ვითომ ძუნწობდა? არა მგონია, ქვაწვია რომ იყოს, იმ გლეხს ვენახის აჩეხვაში ფულს რატომ გადაუხდიდა?

– აი, რას ნიშნავს, რომ ბიზნესისა არაფერი გაგეგება. ბადრის კახეთში ვენახების გაკაფვაზე ერთი თეთრიც არ გაუღია, სამაგიეროდ, როგორც ბიზნესმენმა, მოგების დიდი შანსი დაითრია.

– როგორ და რანაირად?

– ამნაირად. ეს მთავრობა წავა, გაჯაგული ვენახები კი დარჩება. ჩვენი ბადრი მიუტრიალდება იმ გავერანებულ ადგილებს, ახალ ზვრებს გააშენებს და ნახავ, რა ბიზნესს დაატრიალებს.

– კი, ბატონო, ბადრის ბიზნესი, მაგრამ შენ რა დაგრჩება?

– მე – ამ მთავრობისგან დანატოვარი საცოდავი პენსია და წასვლის წინ მისგანვე სამათხოვროდ ბოძებული დენისა და გაზის ვაუჩერები...

**ოტია ჩართოლანი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვმუშაობ არასამთავრობო დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად. გთხოვთ, განმიმარტოთ, მომეცემა პენსია მუშაობის პერიოდში?**

**კარლო ონოფრიშვილი**

**პასუხი:** დიახ, მოგეცემათ. პენსია მხოლოდ იმ დაწესებულებებში მუშაობის შემთხვევაში არ გაიცემა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

* * *



**კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ ფირმაში. 2005 წლის შედეგების მიხედვით, ფირმას ჰქონდა მოგება, მარგრამ არ აუღია დივიდენდი. 2006 წელი ასევე დაამთავრა მოგებით. გვაქვს თუ არა უფლება, ორივე წლის დივიდენდი მიმდინარე წელში ავიღოთ. თუ მხოლოდ 2006 წლის დივიდენდს მოგვცემენ?**

**მევლუდ ბაბუა**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, გაქვთ უფლება ორივე წლის დივიდენდი აიღოთ, თუ თქვენი საწარმოს წესდებაში რაიმე შეზღუდვა არ გაქვთ (მაგალითად, გაუნაწილებელი მოგებიდან სარეზერვო ფონდების შექმნაძ, მაშინ საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა (აქციონერთა კრებას შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება წლის მანძილზე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების დივიდენდებად განაწილების თაობაზე.

* * *

**კითხვა: ვიმყოფები შვებულებაში ორსულობისა და მშობიარობის გამო. თვენახევარში ველოდები შვილს. მითხრეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული დეკრეტული შვებულების ანაზღაურების წესში ცვლილება არის შესულიო. მაინტერესებს, მაცნობოთ, რომელი რიცხვიდან შევიდა მასში ცვლილება (დანარჩენს მე თვითონ გავეცნობიძ.**

**ნელი მესხიძე**

**პასუხი:** „ორსულობის მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების წესში“, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანებულებით, ცვლილება შევიდა 2006 წლის 29 დეკემბრიდან.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## ინფორმაცია

### ბავშვები ცრემლსადენი გაზით მოიწამლნენ

**თბილისის 117-ე საჯარო სკოლაში ცრემლსადენი გაზით ოთხი ბავშვი მოიწამლა.**

როგორც სკოლის ადმინისტრაციაში განაცხადეს, X კლასის მოსწავლეს, რომლის განმარტებითაც, ცრემლსადენი გაზის ბალონს თავდაცვის მიზნით ატარებდა, არეოზოლზე ხელი შემთხვევით დაეჭირა.

შემთხვევის ადგილთან ახლოს მეშვიდე კლასის ოთხი მოსწავლე იმყოფებოდა, რომლებმაც გაზი შეისუნთქეს და ცრემლდენა დაეწყოთ.

ბავშვები დაუყოვნებლივ გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ყველა საჭირო პროცედურა ჩაუტარდათ. ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება.

### გენერლის პირადი არქივი ხელნაწერთა ცენტრს გადაეცა

**ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გენერალ გიორგი კვინიტაძის პირადი არქივი გადაეცა.**

გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970ძ პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მისმა ქალიშვილმა გადასცა.

როგორც ცენტრიდან იტყობინებიან, ნანო კვინიტაძემ მამის წერილები, მოგონებები, ჩანაწერები და დოკუმენტები საფრანგეთიდან ჩამოიტანა.

როგორც ნანო კვინიტაძემ აღნიშნა, გენერლის არქივი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მრავალფეროვანი მასალისა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უნდა გადაეცეს. რამდენიმე თვეში იგეგმება საქართველოში სხვა ხელნაწერებისა და ფოტოარქივის ჩამოტანაც.

### ბათუმში ძებნილი დააკავეს

**ბათუმის აეროპორტში მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი პირი დააკავეს.**

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, იგი „ოდესა-ბათუმის“ რეისით აპირებდა გამგზავრებას.

მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე საქართველოში შემოსვლისას, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა

# ოთარ სეხნიაშვილი



**გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ოთარ სეხნიაშვილი.**

**ქართველ მხატვართა რიგებს გამოაკლდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მრავალი თაობის აღმზრდელი, უხუცესი ხელოვანი, გულისხმიერი პედაგოგი.**

**ბატონმა ოთარმა ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა განვლო აღსავსე კეთილშობილური მისწრაფებით და მრავალის გაკეთებაც მოასწრო.**

**1954 წლიდან დაუკავშირა მან თავისი საქმიანობა სტუდენტებთან მუშაობას და იმ დღიდან მოყოლებული არქიტექტურის ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების კათედრა ბატონი ოთარის გარეშე წარმოუდგენელი იყო. წლების განმავლობაში ასწავლიდა და აცნობდა სტუდენტებს ხელოვნების ამ დარგის საიდუმლოებას.**

**იგი გახლდათ ჭეშმარიტი პედაგოგი, დაუზარელი, ენერგიული ახალგაზრდობის მეგობარი, მათი ნებისმიერი ღონისძიების თანამონაწილე, ზედმიწევნით უპრეტენზიო და თავმდაბალი ადამიანი.**

**აღმზრდელი და მეგობარი, ღირსეული მხატვარი და მოქალაქე – ასეთად დარჩება ის ყველას მეხსიერებაში.**

**მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.**

**ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი**

**სააქციო საზოგადოება „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველი იწვევს კრედიტორთა კრებას 2007 წლის 23 ოქტომბრის დღის 12 საათზე ტყიბულის რაიონული სასამართლოს შენობაში, შემდეგი დღის წესრიგით:**

1ძ საბოლოო ანგარიშის მოსმენა/დამტკიცება;
2ძ საბოლოო ცხრილის დამტკიცება.

**შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა**

**სს „პირიმზეს“ (მის. ქ. თბილისი, ვ. ვეკუას ქ. 3ძ აქციონერთა საერთო კრების ჩატარებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 30 ოქტომბერი.**

№ 202. შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● საქართველოს ნაკრებმა შეუძლებელი შესძლო და თავისი ქვეჯგუფის ლიდერი, მრისხანე შოტლანდიის ნაკრები, ანგარიშით 2:0 დაამარცხა.
... ნეტა, რა ხასიათზე არიან ახლა წამიერად გაცნობილი და ამ ფოტოზე გამოსახული ჩვენი შოტლანდიელი მეგობრები?!



◉ 17 ოქტომბერს თბილისში

## წამის ფასი, გამარჯვების ფასი...




ლო მალხაზიშვილმა, მარცხნივ მამუკა ვაშაკიძეა, შუაში – სკოტებთან ხელგადახვეული თქვენი მონა-მორჩილი... და ჩვენ-ჩვენი გუნდების გამარჯვების იმედით დავცილდით, ლაღ და ხალისიან სტუმრებს, რომლებიც რა გასაკვირია და დარწმუნებული იყვნენ თავისი გუნდის გამარჯვებაში. მერე, მოგვიანებით, რაც მოხდა, კარგად იცის მთელმა საფეხბურთო სამყარომ. საქართველოს ნაკრებმა შეუძლებელი შესძლო და თავისი ქვეჯგუფის ლიდერი, მრისხანე შოტლანდიის ნაკრები, ანგარიშით 2:0 დაამარცხა.

... ნეტა, რა ხასიათზე არიან ახლა წამიერად გაცნობილი და ამ ფოტოზე გამოსახული ჩვენი შოტლანდიელი მეგობრები?!

ჯერ, რამდენიმე საათით ადრე, ორივე მხარე იმედიანად ვართ – თბილისის ცენტრს მოდებული შოტლანდიელები და ჩვენ – ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ულიმღამო გამოსვლით გულდათუთქული ქართველები. ჩამოჰყვნენ გულშემატკივრები შოტლანდიელ ფეხბურთელებს, თან თამაშის დაწყებამდე საქართველოს დედაქალაქს გაეცნენ. ჰოდა, ამ სეირნობაში, ჩვენი ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს" წინ არ გაგვილიმეს ალალად სკოტების მხარიდან ჩამოსულმა სტუმრებმა?! გაღიმებას ღიმილი შევაგებეთ, შევაჩერეთ გამომცემლობის წინ სტუმრები და იქვე მდგომ ფოტოჟურნალისტ ელდარ მალხაზიშვილს მათთან „ჩაკარტიჩკება" ვთხოვეთ... გადაგვი-

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ რა არ ხდება

### მემკვიდრეობა – ძაღლებს

**ერთ-ერთ უმდიდრეს ქალად ითვლება ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი. მისი ქონება, ჟურნალ „ფორბსის" შეფასებით, 1,5 მილიარდი დოლარის ტოლფასია. მან თურმე გადაწყვიტა, 300 მილიონი დოლარი უანდერძოს თავის ოთხ ძაღლს.**

მილიარდერი ქალი ახლა 53 წლისაა. მან სპეციალური ფონდიც კი დააარსა, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მისი სიკვდილის შემდეგ „მემკვიდრეები" კვლავ ფუფუნებაში იცხოვრებდნენ.

ოპრა პირველი ადამიანი როდია, თავის ოთხფეხა მეგობრებს მილიონებს რომ უტოვებს. წლეულს, აგვისტოში გარდაცვლილმა ამერიკელმა ქალბატონმა ლეონა ჰელმსლმა თავის ძაღლს 12 მილიონი დოლარი დაუტოვა, ხოლო თავის ორ შვილიშვილს – 5 მილიონი, დანარჩენ ორს კი – არაფერი (?!ძ.

### უძვირფასესი ვახშამი

**ღმერთმა დაგიფაროთ და თუ ზიმბაბვეში მოგშივდეთ – ერთი ვახშამი, შესაძლოა, 6 მილიონი დაგიჯდეთ. აბა, ამდენ ფულს ქისაში როგორ ჩატევთ, მაშინ ის ჩანთით უნდა ატაროთ.** ეს კი აქაური ინფლაციის წლიური ტემპების ბრალია. მან 7500 პროცენტს გადააჭარბა. მართალია, მთავრობა ცდილობს, მაღაზიების პატრონებს ფასები დააკლებინოს, მაგრამ იქ შექმნილი სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარება.

თუ ქვეყანაში სულ ცოტა ხნის წინათ ადგილობრივი 100 ათასდოლარიანი კუპიურები ჰქონდათ, სექტემბერში უკვე 200 ათასდოლარიანი ფული გამოუშვეს.

### არნახული რეკლამა



**ასეთი რეკლამის, ოღონდ კოსმოსურის, შექმნა გადაწყვიტეს დიდ ბრიტანეთში. ამტკიცებენ, ის კოსმოსიდანაც კი გამოჩნდებაო. ამ უჩვეულო რეკლამის ზომა 20 ათასი კვადრატული მეტრი იქნება, რაც დაახლოებით სამი ფეხბურთის სტადიონის ტოლია.** სავარაუდოდ, ის აეროპორტი „ჰიტროუს" რაიონში განთავსდება. კომპანიამ, რომელიც ამ ექსპერიმენტის განხორციელებას აპირებს, უკვე დაიწყო მომავალი რეკლამის ფორმისა და იმ დაინტერესებული პირების ძიება, ვინც ამ უზარმაზარ ფარზე თავისი რეკლამის განთავსების სურვილს გამოთქვამს. რეკლამის განთავსების სავარაუდო ფასი წელიწადში 1 მილიონი დოლარი იქნება.

◉ ინფორმაცია

## „პროფესიონალს" არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებენ

**21 წლის გაგა ქერიმის ახლობლები კლინიკა „პროფესიონალის" სამედიცინო პერსონალს მის გარდაცვალებაში ადანაშაულებენ.**

როგორც გარდაცვლილის ახლობელმა განაცხადა, 21 წლის ახალგაზრდა კლინიკაში ოთხი დღის წინათ მოათავსეს.

– გაგა ბევრს სვამდა და ამიტომ მიიყვანეს კლინიკაში. დედას შვილის განკურნება უნდოდა. სრულიად მოულოდნელად, 4 დღის შემდეგ პაციენტი გარდაიცვალა, – აღნიშნეს ახლობელმა.

ქერიმის გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი ცხედრის ექსპერტიზის შემდეგ გახდება ცნობილი.

**ინტერპრესნიუსი**


**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.


◉ ანეკდოტები

მიხოს ქურდობისათვის ასამართლებენ.

– ბრალდებულო, აუხსენით სასამართლოს, სეიფის გატეხვის შემდეგ რად აიღეთ მხოლოდ ფული, სამკაულებს კი ხელიც არ ახლეთ?

– კაცო, შენ რაღაც სულ ჩემი ცოლივით ლაპარაკობ, აი!

* * *



– მიჭირს თქვენთვის დიაგნოზის დასმა. ეს, ალბათ, ალკოჰოლიზმის ბრალია, –ეუბნება ექიმი პაციენტს.

– კარგი, როცა გამოფხიზლდებით, მაშინ შემოვივლი.

* * *

ბიჭი ვერაფრით მოწყვიტეს კომპიუტერს. მშობლებმა ექიმი გამოიძახეს. მან გასინჯა ბიჭი და დაასკვნა:

– მისი მკურნალობა მოგიწევთ!

– როგორ და რით? – ეკითხებიან მშობლები.

– რით და, სიგარეტით, დალევით, გოგოებით...

* * *

– ავადმყოფო, როგორ იძინებთ?

– კარგად, ექიმო. სამამდე ვითვლი და ვიძინებ.

– როგორ, მხოლოდ სამამდე დათვლა გყოფნით?

– ზოგჯერ ოთხის ნახევრამდე.

* * *

– ავადმყოფო, აბა, გაიხადეთ! ახლა შემობრუნდით და წაიკუზეთ! ოო, თქვენ ბუასილი გაქვთ!

ავადმყოფი გაიმართა, ექიმს მიუბრუნდა და ეუბნება.

– ამისთვის ამდენი რამ რა საჭირო იყო, პირში ვერ მითხარით?

* * *

– ვინა ხართ?

– კეთილი ფერია.

– ნაჯახი რად გიჭირავთ?

– რაღაც ცუდ ხასიათზე ვარ.

◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1"-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.